საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-ვითი სიტყვაა, ცუდილებით და ჭორებით ბურ-თის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი-ოთხშაბათი, 20-21 ოქტომბერი. 2020 წ. №137-138 (9063-9064) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ან დონალდ ტრამპი გვაღადავებს, ან გიორგი ფხაკაძე გვატყუებს!..

რა „მაგიურმა“ პრეპარატმა განკურნა ტრამპი და რა ეშველება დანარჩენ მსოფლიოს?

9

გიორგი გახარია:

წერტილოვანი შეზღუდვები, დისციპლინა და წესების დაცვა ეკონომიკური გაძლიერების გასაღებია!



2

დავით გარეჯა – ერთი სიცრუე და სამი პოზიცია

გასაკვირი არ არის, რომ დავით გარეჯას და ზოგადად საზღვრების თემა ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკურ საკითხად იქცა, ვინაიდან ყველას აინტერესებს, როგორ აპირებენ ხელისუფლებაში მოსვლის მოსურნე პარტიები ამ სფეროში არსებული მტკივნეული პრობლემების მოგვარებას.

ადამიანებს სჩვევიათ, რომ თავისი ქვეყნის საზღვრები რეალურზე გაცილებით შორს წარმოიდგინონ ხოლმე და ამისთვის უამრავ საბაბს იგონებენ. ეს სისუსტე, სხვისი რომ თავისად ეჩვენება, მუდმივად თან სდევს კაცობრიობას.

აქ, პირიქით კი, როგორც წესი, არ ხდება. არც ისტორიაში ჩანს მსგავსი მაგალითი, რომ ადამიანთა ჯგუფები, მით უმეტეს პოლიტიკური გაერთიანებები, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ტერიტორია სხვას უნდა ეკუთვნოდესო. დაუჯერებელიც იქნებოდა ასეთი რამ, ეს დრამა ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს თვალწინ რომ არ თამაშდებოდეს. თანაც ამ თემაზე ისეთი თავდაჯერებით მიდის საუბარი და მედიის ერთი ნაწილიც ისეთ კითხვებს სვამს, თითქოს ჩვეულებრივი დისკუსია მიმდინარეობდეს პარტიულ პროგრამებზე. არადა, სრულიად უჩვეულო მოვლენასთან გვაქვს საქმე, რაც თავისი მნიშვნელობით მეტია, ვიდრე უბრალო პოლიტიკურ აზრთა სხვადასხვაობა.

შეიძლება, რომ, სხვადასხვა გარემოებათა გამო, თავს ზევით ძალა მართლაც აღარ იყოს და შეეგუო საზღვრების ისე დადგენას, რაც ბოლომდე სამართლიანად არ მიგაჩნდეს (საქართველოს ამის სამწუხარო გამოცდილება აქვს), მაგრამ სრული ანომალიაა, ეწინააღმდეგებოდე შენი ქვეყნის ინტერესებს, როცა საკითხი ჯერ ისევ განხილვის სფეროშია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ თემაზე საუბარს ყველა იწყებს სიტყვებით, რომ გარეჯა საქართველოს განუყოფელი ნაწილია (არჩევნების წინ ამის უარყოფას ღიად ვერავინ ბედავს), თუმცა, მეორე წინადადებაშივე ჩანს, რომ პოლიტიკაში ჩართული ადამიანების ერთი ნაწილი, რომელიც ძალაუფლებისთვის გაწირავს ყველას და ყველაფერს, აგრესიული უტიფრობით ცდილობს საწინააღმდეგო აზრის დანერგვას და ეს დღეს არ დაწყებულა.

ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები უკვე წლების წინვე ინტენსიურად ცდილობდნენ საზოგადოების იმ აზრთან შეგუებას, რომ დავით გარეჯას მნიშნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანს ეკუთვნისო. შესაბამისი თანამდებობების პირებმა ზეპირ განცხადებებში უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანის ტერიტორიად გამოაცხადეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკითხი ჯერ ისევ განხილვის სტადიაში იყო და მხარეებს შორის იურიდიული შეთანხმება არ არსებობდა.

რასაკვირველია, გამორიცხულია, რომ ასეთი რამ ხელისუფლების გადაწყვეტილების და ნებართვის გარეშე მომხდარიყო. ამ განცხადებებს შემდგომ აზერბაიჯანის მესაზღვრეებმა ამოიწიეს მთის თხემზე და ფაქტობრივი მდგომარეობით, რაც დღემდე გრძელდება, უდაბნოს მონასტერი აზერბაიჯანის მხარეს მოექცა.

დღესდღეობით უკვე ისიც გავიგეთ, რომ მაშინდელი საზღვრის დამდგენი კომისიაც ეთანხმებოდა ხელისუფლების განცხადებებს უდაბნოს მონასტრის აზერბაიჯანისთვის მიკუთვნების შესახებ, თუმცა, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ აღნიშნულმა კომისიამ შექმნა ამგვარი განცხადებების ფორმალური საფუძველი.

იხ. 3 გვ.



5

ქართულ ეკონომიკას გამიჯნურებული ნათია თურნავა

ჟურნალისტური გამოძიება

გოქსელ გენჩი – თურქი „ოსტაპ ბენდერი“?

4

ჯარჯი წიკლაური:

2006 წელს ახალი რუკის ალბომები არასწორად შეადგინეს!

2

№ 137-138. სამშაბათი-ოთხშაბათი, 20-21 ოქტომბერი, 2020 წელი.

გიორგი გახარია: ბოლო ხანს ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსის, ექსპერტის თუ ჟურნალისტის მხრიდან ვრცელდება ცრუ ინფორმაციები, რომელთა აშკარა მიზანი არის უსაფუძვლო პანიკის დათესვა!

— სამწუხაროდ, ბოლო პერიოდის განმავლობაში ზოგიერთი უპასუხისმგებლო პოლიტიკოსის, ისევე როგორც ექსპერტის მხრიდან, ვრცელდება ცრუ ინფორმაციები და ამ ცრუ ინფორმაციების აშკარა მიზანი არის ელემენტარული უსაფუძვლო პანიკის დათესვა მოსახლეობაში, რაც აბსოლუტურად მიუღებელია. პანიკის დათესვა ახლა არის ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება პასუხისმგებლიანმა მოქალაქემ ქვეყანას დამართოს, თან სრულიად უსაფუძვლო პანიკის. ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენი ერთობლივი ბრძოლა წარმატებული იყო იმიტომ, რომ ჩვენ კონსოლიდირებულად, ერთიანად ვიბრძოდით რამდენიმე ფრონტზე“, — აღნიშნა გუშინ გიორგი გახარიამ.

* * *

ყველამ უნდა გავათვითცნობიეროთ, **რომ ვირუსი, განსაკუთრებით მეორე ტალღა, რომელიც აშკარად გრძელვადიანი იქნება, ჩვენი სოციალური ქმედების სტილს შეცვლის,** — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ მთავრობის ადმინისტრაციაში საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, საზოგადოება რაც უფრო მალე შეიცვლის სოციალური ქმედების სტილს, მით უფრო სწრაფად გაუმკლავდება ქვეყანა პანდემიას.

— რაც უფრო ადრე მიხვდება ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, რომ პირბადე არის ვირუსის გადაცემისგან თავის დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება, რა თქმა უნდა, უფრო მეტი მოქალაქე გაიკეთებს მას. რაც უფრო მეტი მოქალაქე გაიკეთებს პირბადეს, ვირუსის გავრცელების სისწრაფე შემცირდება. მარტივ რაღაცას ვამბობ: გავიკეთოთ პირბადე, დავიბანოთ ხელი, დავიცვათ სოციალური დისტანცია, გავუფრთხილდეთ მოხუცებს, რომლებიც ყველაზე მაღალი რისკის ჯგუფში არიან, სიცხიანი არ მივიდეთ სამსახურში, თუ ჩვენს შვილებს რაიმე სიმპტომი აქვთ, არ გავუშვათ ბაღსა და სკოლაში და ამ დიდ წვეულებებს დავანებოთ თავი რაღაც პერიოდი იმისთვის, რომ ჩვენი ახლობლების და მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ვიზრუნოთ და შევინარჩუნოთ შესაძლებლობა სწრაფი ეკონომიკური აღდგენის. ეს გრძელვადიანი პროცესია. ეპიდემიოლოგიური მიდგომა თბილისსა და ბათუმში ერთია, თელავში — მეორე. როგორ შეიძლება იყოს ერთი და იგივე მიდგომა? სამოქალაქო პასუხისმგებლობა, რომელმაც უნდა შეცვალოს ჩვენი სოციალური ქმედების მოდელი, არის ადაპტაციის ერთადერთი გამოსავალი. ადაპტაცია და დაბალანსებული მიდგომა არის ერთადერთი გზა წარმატებისთვის, რომელიც მოგვცემს საშუალებას, სწრაფად დავასრულოთ კრიზისი, მხოლოდ საქართველომ არა, გლობალურად. მაგრამ ჩვენი კონკურენტული უპირატესობა უნდა იყოს ის, რომ დასრულებული კრიზისის პირობებში, ჩვენ ყველაზე სწრაფად მოვახდინოთ ეკონომიკის აღდგენა. ეს არის ჩვენი მიზანი“...

წერტილოვანი შეზღუდვები, დისციპლინა და წესების დაცვა ეკონომიკური გაძლიერების გასაღებია!

— როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, ვირუსის გავრცელების ტემპის შესამცირებლად ყველაფერი კეთდება, თუმცა ამის მიუხედავად, შემთხვევების მატება იქნება.

„ასეთი მატება იყო მოსალოდნელი და ყოველთვის ვამბობდით, რომ მეორე ტალღის პირობებში ინფიცირებულების ზრდა იქნება, თუმცა ჩვენ ამ ზრდის რესურსი გაგვაჩნია. დღეს ჯანდაცვის სისტემა უფრო მომზადებულია, ვიდრე იყო 6-7 თვის წინ, თუმცა ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რესურსები ამოუწურავი არ არის. პირველ რიგში, უნდა გავუფრთხილდეთ ერთმანეთს და გავუფრთხილდეთ ქვეყნის შემდგომი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობას. წერტილოვანი შეზღუდვები და დისციპლინის და მკაცრი წესების დაცვა, რაც არის პირბადის ტარება, დისტანციის დაცვა, ეს არის ის გასაღები, რომელიც ჩვენ გვიტოვებს შესაძლებლობას, გრძელვადიან პერსპექტივაში, ვირუსთან თანაცხოვრების გზით, ჩვენი ეკონომიკა არ გავანადგუროთ და პირიქით, გავაძლიეროთ. ეს არის, რაზეც უნდა შევთანხმდეთ და ამ შეთანხმების შემდგომ უნდა გვესმოდეს, რომ არანაირი პანიკის საფუძველი, ვაიპოლიტიკოსების, და ვითომ ექსპერტების მხრიდან არ არსებობს“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ბათუმში „ნაცმოძრაობის“ აქციის მავნებლობა იყო...

გიორგი გახარიამ „ნაციონალური მოძრაობა“ ბათუმში გამართული აქციის გამო გააკრიტიკა. საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, რომ ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, რეკომენდაციების დაცვის გარეშე აქციის ჩატარება მავნებლობაა.

„როდესაც ვამბობთ, რომ ჩვენი მოქალაქეების ყოველდღიურ ნორმალურ ცხოვრებას არ ვზღუდავთ იმიტომ, რომ გვაქვს შესაძლებლობა და მზად ვართ იმისთვის, რომ ინფიცირების მაღალი ციფრების პირობებშიც ვმართოთ ეს რისკები და პროცესი, რა თქმა უნდა, ჩვენს პასუხისმგებლობაზე ვსაუბრობთ. თუმცა ჩვენი პასუხისმგებლობა, მარტო ხელისუფლების და მთავრობის პასუხისმგებლობა შედეგს ვერ მიაღწევს, ან პირიქით, დიდი რისკის ქვეშ დააყენებს ჩვენს საზოგადოებას, თუ ჩვენმა პარტნიორებმა, პოლიტიკურმა ოპონენტებმა მათ შორის, მსგავსი, აბსოლუტურად მიუღებელი, კატეგორიულად მიუღებელი ღონისძიებები ჩაატარეს. ეს ხომ არ არის რაღაც დიდი მოთხოვნები, ელემენტარული მოთხოვნაა, აქციის 1 500 მონაწილეს გაუკეთო პირბადე. ეს ხომ რთული არ არის? ან ელემენტარულად სთხოვო ამ ადამიანებს დაიცვან დისტანცია. მაშინ როდესაც იცი, რომ აჭარა არის ყველაზე მძიმე ეპიცენტრი ვირუსის გავრცელებისა. ეს უბრალოდ უკიდურესი უპასუხისმგებლობაა, უფრო მეტიც, მავნებლობაა ეს!, — განაცხადა პრემიერმა.

არჩევნები არ გადაიდება!

არჩევნები საქართველოში ჩატარდება **კონსტიტუციურ ვადებში, არჩევნები არ გადაიდება,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა საკოორდინაციო საბჭოს სხდომის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. გიორგი გახარიას თქმით, ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს.

„ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საარჩევნო უბანი ისეთ დონეზე იქნება მომზადებული ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომ ხშირ შემთვევაში ზოგიერთ სავაჭრო ცენტრსა და მაღაზიაში შესვლა იქნება ბევრად უფრო სახიფათო, ვიდრე საარჩევნო უბანზე მისვლა, სრული წესების დაცვით. ამიტომ არანაირი ეპიდემიოლოგიური რისკი აქ არ იარსებებს. ეს ერთი და მეორე, ჩვენ, რა თქმა უნდა, ყველანი ვხედავთ, რომ პოლიტიკური პროცესი და პოლიტიკური საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს ღიად. ერთადერთი, მოქალაქეებთან ერთად რასაც ვთხოვთ პოლიტიკოსებს, წესები დავიცვათ — ვატაროთ პირბადე და დავიცვათ დისტანცია, ეს ხომ ასეთი რთული არ არის?! შესაბამისად, ყველას კარგად უნდა გვესმოდეს, რომ პოლიტიკურ პროცესს და არჩევნების დღეს არაფერი ემუქრება და ვერც დაემუქრება“, — განაცხადა პრემიერმა.

ნინო ბურჯანაძე: შემიძლია ძალიან საქმიანი და მეგობრული მოლაპარაკება აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან!

შემიძლია ძალიან საქმიანი და **მეგობრული მოლაპარაკების წარმართვა აზერბაიჯანის ხელისუფლებასთან და შევეცდები, რომ ამ პროცესში პოზიტიური გარდატეხა მოხდეს,** — ამის შესახებ „ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა, ნინო ბურჯანაძემ პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში დავით გარეჯის საკითხის დარეგულირებაზე საუბრისას განაცხადა. მისი თქმით, „ერთიანი საქართველო“ პარლამენტში აუცილებლად მოხვდება, თუმცა ამოცანაა, რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი შეიყვანოს საკანონმდებლო ორგანოში.

„მე სიტყვა თუს არ გამოვიყენებ, ჩვენ ყველა ვარიანტში მოვხვდებით პარლამენტში, უბრალოდ, მნიშვნელოვანია, რომ, რაც შეიძლება მეტი იყოს „ერთიანი საქართველოს“ წარმომადგენელი პარლამენტში. დავით გარეჯის თემით მანიპულირება ოპოზიციას არ დაუწყია, თემით მანიპულირება დაიწყო „ქართულმა ოცნებამ“, ეს იყო ნამდვილად წინასაარჩევნოდ წამოწეული პიარი, რომლის შედეგადაც ორი სრულიად უდანაშაულო ადამიანი ზის... ეს საკითხი საგანგებოდ უნდა შეისწავლოს მომავალმა პარლამენტმა. დავით გარეჯის თემა ყოველთვის იყო ჩემი ყურადღების საგანი და ახლაც, ბუნებრივია, იქნება. რომელი რუკებით უნდა ისარგებლოს კომისიამ, მე ჯერ ნამდვილად ვერ გეტყვით, იმიტომ რომ, ჯერ ერთი, არ ვარ კარტოგრაფი და მეორე, არ მაქვს დეტალური ინფორმაცია. ნებისმიერი მექანიზმი უნდა იყოს გამოყენებული, რომ საქართველოს ინტერესი დავიცვათ, მაგრამ ეს მექანიზმი უნდა იყოს მეგობრული, გაწონასწორებული, პიარისგან დაცლილი და საქმით სავსე...

ჯარჯი წიკლაური: 2006 წელს ახალი რუკის ალბომები არასწორად შეადგინეს!

ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი დღეს სადავო ტერიტორიებზეა

დავით გარეჯის საქმეზე **დაკავებულების ადვოკატები აცხადებენ, რომ საქმის მასალებში 1996 წელს ივერი მელაშვილის მიერ შედგენილი რუკა დევს, რომელიც საქართველოს საზღვრებს ზუსტად ასახავს.** დოკუმენტის მიხედვით დავით გარეჯის კომპლექსის არც ერთი ნაწილი სადავო არ არის. ამაზე დაყრდნობით ადვოკატები აცხადებენ, რომ ივერი მელაშვილისა და ნატალია ილიჩოვასთვის წარდგენილი ბრალი აბსურდულია. ამ განცხადებას პროკურატურაშიც გამოეხმაურნენ. როგორც ჯარჯი წიკლაურმა „ქრონიკასთან“ საუბარში აღნიშნა, 1996 წელს კომისიაში ეს რუკა მართლაც არსებობდა, თუმცა 2006 წელს შედგა ახალი რუკა, რომლის მიხედვითაც საქართველოსა და აზერბაიჯანს შორის საზღვარი მთის თხემზე გადიოდა, რაც კომპლექსის ირგვლივ კითხვის ნიშნებს აჩენდა.

„ეს არის კომისიის მიერ 96 წელს შედგენილი ალბომი, რომელიც გარეჯის მთის ნაწილში შეესაბამება 200 000-იანი მასშტაბის რუკას. კერძოდ, ამ ალბომის მიხედვით, საქართველო სწორად იცავდა მაშინ პოზიციას, რომ მთის ძირში ცდილობდა საზღვრის გავლებას. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენი ინტერესების ხელყოფით, არასწორად შეადგინეს უკვე 2006 წელს ახალი რუკის ალბომები, ისარგებლეს 80-იანი წლების რუკებით და ჩვენთვის საზიანოდ ჩვენს სიღრმეში ამოწიეს საზღვარი და ყველა მნიშვნელოვანი ძეგლი დავით გარეჯისა დღეს არის სადავო ტერიტორიებზე“, — აცხადებს პროკურორი.

მისი თქმით, ადვოკატების განცხადებების მიზანია საზოგადოებას გააცნონ ვერსია, თითქოსდა ახალი რუკის ალბომის აღმოჩენის შესახებ, რომელიც მათი მტკიცებით მელაშვილის ბრალეულობას გამორიცხავს. სინამდვილეში კი ალბომი სწორედ გამოძიებამ მოიპოვა და ბრალდებულების ადვოკატებს გადასცა.

დავით გარეჯა - ერთი სიცრუე და სამი პოზიცია

(პირველი გვერდიდან) ვინაიდან ეს პროცესი დახურული იყო, რასაკვირველია, არსებობს კითხვები, როგორ და რა არგუმენტებით და რამდენად კანონიერად მივიდა კომისია და ხელისუფლება ასეთ დასკვნამდე, მაგრამ ფაქტია და შედეგად მივიღეთ, რომ კომისიამაც და წინა ხელისუფლებამაც დავით გარეჯას მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანს დაუთმო, დარჩენილი იყო მხოლოდ ხელმოწერა.

თუ არა რაიმე ახალი გარემოება, დავით გარეჯა სამუდამოდ დაკარგული იყო საქართველოსთვის, რასაც კომისიაც და ხელისუფლებაც შეგუებულნი იყვნენ და მეზობელი ქვეყნის მესაზღვრეებიც ამ გადაწყვეტილების შესაბამისად დგანან იქ, სადაც დგანან. ასეთია ამ ამბის მოკლე ისტორია.

დავუშვათ, რომ, თავის დროზე, ვერც კომისიამ და ვერც ყოფილმა ხელისუფლებამ ვერ მოიპოვეს შესაბამისი არგუმენტები რუკების თუ სხვა მასალების სახით, რითაც დავით გარეჯას საქართველოსადმი კუთვნილებას დაამტკიცებდნენ.

დავუშვათ, იძულებულნი გახდნენ, ასეთ დათმობაზე წასულიყვნენ, მიუხედავად იმისა, რომ დავით გარეჯა მხოლოდ უბრალოდ ტერიტორია არ არის, რომლის ყოველ სანტიმეტრსაც დიდი გაფრთხილება სჭირდება და ასევე ქართული კულტურის უნიკალური საგანძური და ქართველებისთვის საკრალური ადგილია.

დავუშვათ, მაშინ ძალიან მოინდომეს, მაგრამ მეტი ვერ შეძლეს. თუმცა, ამ დაშვებას სრულიად აქარწყლებს რუკების ირგვლივ დღეს ატეხილი მავნებლური ვაკქანალია.

გამოჩნდა რუკები, რამაც შეიძლება მდგომარეობა საქართველოს სასარგებლოდ შეცვალოს და რატომ უნდა ცდილობდეს ვინმე და მით უმეტეს პოლიტიკური პარტია ამ ახლად აღმოჩენილი გარემოების წინასწარვე გაბიაბრუებას და გაუფასურებას?! როცა უაპელაციოდ და ყოველგვარი არგუმენტების გარეშე ამ რუკებს, განხილვის დაწყებამდეც კი, ისევ საქართველოს მხრიდან უცხადებენ უნდობლობას, ხომ ცხადია, რომ მოლაპარაკებების დროს ამას ძლიერ კოზირად გამოიყენებს მეზობელი მეგობარი სახელმწიფო. ისევე, როგორც თავის დროზე გამოიყენა ქართველი თანამდებობის პირების განცხადებები და საზღვარი მთის წვერამდე ამოწია.

ეს მხოლოდ ამყარებს იმ ეჭვს, რომ დავით გარეჯას დათმობა თავის დროზე პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო და დღეს სწორედ ამ გადაწყვეტილებას იცავენ.

ერთნი გაიძახიან, რომ ამ რუკებს არავითარი დოკუმენტალური ღირებულება არ გააჩნიათ, თუმცა, დარგის ექსპერტები ადასტურებენ, რომ სწორედ ეს რუკები ასახავენ რეალურ ვითარებას.

მეორენი ამბობენ, რომ რადგან აზერბაიჯანი მეგობარი ქვეყანაა, უხერხულია მისთვის ტერიტორიული პრეტენზიის წაყენება, თითქოს დასაშვები იყოს მეგობრობის მოპოვება ტერიტორიების გასხვისებით, ან კომისიაში საზღვრების შესახებ დისკუსიამ რატომ უნდა მიაყენოს ჩრდილი მეგობრობას?!

მესამენი კი საუბრობენ აბსურდულ რუსულ გეგმაზე, თუმცა კი ვერ ხსნიან, რატომ დაიწყო რუსეთმა უცებ და მოულოდნელად საქართველოს საზღვრებზე ზრუნვა.

სინამდვილეში სამივე პოზიცია ერთი სიცრუის ნაწილებია და აქვე არიან ის გულგრილი მეოთხენიც, რომელთაც სხვა კითხვა არ უჩნდებათ, გარდა იმისა, რატომ მაინცდამაინც ახლა ჩამოიტანა იმ კაცმა ეს რუკებიო?! ხოლო რუკებში რა ხდება, საერთოდ არ აინტერესებთ!

სინამდვილეში სამივე პოზიცია ერთი სიცრუის ნაწილებია და აქვე არიან ის გულგრილი მეოთხენიც, რომელთაც სხვა კითხვა არ უჩნდებათ, გარდა იმისა, რატომ მაინცდამაინც ახლა ჩამოიტანა იმ კაცმა ეს რუკებიო?! ხოლო რუკებში რა ხდება, საერთოდ არ აინტერესებთ!

და ეს ოთხივენი ერთად გარეჯას გასხვისების გადაწყვეტილების დაცვას ცდილობენ. სხვა ბევრი გარემოებაც და მათ შორის ასეთი დაუფარავი აგრესიული კამპანია ახლად აღმოჩენილი დოკუმენტაციის წინააღმდეგ აშკარად მიანიშნებს, რომ წინა ხელისუფლების გადაწყვეტილებას აზერბაიჯანისთვის დავით გარეჯას ნაწილის დათმობის შესახებ შეიძლება სერიოზული პრობლემა ჰქონდეს კანონთან.

პარტიებს სჩვევიათ არჩევნების წინ ერთმანეთის განქიქება და თავის ქება, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ისიც გასაგებია, რომ საარჩევნო სტრატეგიიდან და ტაქტიკიდან გამომდინარე, საჯაროდ მადლობას ვერ ეტყოდნენ იმ ადამიანს, ვინც ეს რუკები მოუპოვა თავის ქვეყანას, მაგრამ სულ რაღაც ათიოდე დღეში ეს არჩევნებიც ისტორიის ნაწილი გახდება, პლაკატები ჩამოიფხიკება და ცხოვრებაც გაგრძელდება, თუმცა, საზღვარი და დავით გარეჯა კი ისევ პრობლემად დარჩება. ამიტომ კარგი იქნება, პარტიებმა ბოლო დროს გაჩენილ ერთ კონკრეტულ კითხვასაც კონკრეტული პასუხი გასცენ – როგორ ხედავენ, რა ბედი ეწევათ ამ რუკებს, ნაგავში გადაიყრება როგორც უვარგისი ძაღლადები, თუ მათზე დაყრდნობით განახლდება საზღვრის დადგენის სამართლებრივი პროცესი. ამით ძალიან გაუადვილებენ არჩევანს დავით გარეჯას ბედით დაინტერესებულ ამომრჩეველს.

ვასილ მაღლაფერიძე

მურმანის არია ბათუმის ბულვარში... და სხვა

განვლილი პოლიტიკური კვირის კვაზიმოვლენად ბათუმის ბულვარში გამართული ნაცებისა და მათი სატელიტების „სხადნიაკი“ იქცა, რომელიც აჭარის ფაშად შერაცხული თანამედროვე ფეოდალის ლევან ვარშალომიძის მამის – ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის გურამ ვარშალომიძის გარდაცვალებას დაემთხვა, ვინც კლინიკაში, თურმე, ინსულტის დიაგნოზით შეუყვანით, მაგრამ იქ ექიმისგან კოვიდ-19-ით დაინფიცირებულა და მედპერსონალის უყურადღებობით დაღუპულა...

კორონავირუსის პანდემიის პერიოდში ჩვენ უკვე მივეჩვიეთ ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან ჩასაფრებულის პოზიციიდან ბოღმის ნთხევასა და აქამდე უცნობ, უხილავ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმულ თეთრხალათიანთა აუგად მოხსენიებას, ამიტომ ზღვისპირეთში ჰიპოკრატეს ფიცის ერთგულთა მისამართით გამოთქმული მორიგი უსაფუძვლო საყვედური ნამდვილად არ გაგვკვირვებია, მაგრამ იცით, რამ გაგვაოცა?

დიახ, სწორად ფიქრობთ: როცა ქვეყნის მთავარი ჟოპოზიციური ძალა ტოტალური მობილიზაციის გამოცხადებით მათივე აყვავებული კურორტის ერთ-ერთი საკვანძო დასასვენებელი კერის მთელ სივრცეს გაავსებს, მაჟორიტარობის კანდიდატი, რომელმაც უკრაინაში მნიშვნელოვანი ანტიკორუფციული სახელმწიფო პოსტი დატოვა და სამშობლოში რეჟიმის დასამხობად დაბრუნდა, პიროვნულ ტრაგედიაზე უნდა ამაღლდეს, პატივი სცეს ამერ-იმერიდან ჩასულ თანამოაზრეთა ამაღლებულ სულისკვეთებას და რამდენიმე წუთით მაინც გამოჩნდეს შეკრებილთა წინაშე დუღილის ტემპერატურის ასაწევად, თუ, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში გამოსაჩენი პირი აქვს.

დავიჯეროთ, ძვირფასი მშობლის დაკარგვით მწუხარებაში ჩავარდნილ ჭირისუფალს არაფერი სმენია მსგავსი, თუ უფრო მძიმე არა, ფაქტის შესახებ, როცა გენიალურმა აკაკი ხორავამ ერთადერთი მოზარდი ვაჟის პანაშვიდი დატოვა და სცენას მიაშურა, სადაც ჩვეული დიდოსტატობით შეასრულა მთავარი როლი?

დარწმუნებულნი ვართ, ძალიანაც კარგად მოეხსენება, მაგრამ გმირობას ყველას ვერ მოვთხოვთ – საამისოდ ცოტა სხვანაირი პიროვნული კოდია საჭირო.

ხმის ჩახლეჩამდე მოღრიალე ორატორთა მჭევრმეტყველებას ტონი ადგილობრივი წვრილფეხობის – გიორგი კირთაძისა და ელგუჯა ბაგრატიონის მგზნებარე მონოლოგმა მისცა. მართლაც, საინტერესოა, რამდენი თოლხო კვერცხი გადაყლაპეს ბიჭებმა საინფორმაციო ღრუს იოგების დასაწმენდად?

და აი, საშუალედო აპოთეოზი – ტრიბუნაზე ერთმანეთის მიყოლებით ადიან „ძალა ერთობაშიას“ მძიმე არტილერიის სნაიპერები, რომლებიც, რომ იტყვიან, ფრონტის ხაზზე ცეცხლს ხსნიან და შოუ ეგზალტირებული მასის ფსიქოზში ჩავარდნის სტადიაში გადაჰყავთ. მე თქვენ გეტყვით, საამისო უნარჩვევები და გამოცდილება არ გააჩნიათ თუ რა?

მართალია გრიგოლ ვაშაძე რევანშთუხუცესი ამჯერად შედარებით მოკრძალებულად გამოიყურებოდა – ეტყობა, დამამშვიდებელ ჩხვლეტას ან აბს მიმართა, მაგრამ, სამაგიეროდ, მთელი ბრწყინვალებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე მარადიული მეამბოხე დუმბაძე, რომელმაც მურმანის არია საარაკო გონებრივი გადახრებით შეკაზმა და, ადვილი შესაძლებელია, ცხონებულ ავლიპი ზურაბაშვილს საფლავში ტრიალი დააწყებინა.

მის დაფრქვეულ სიბრძნეებს ერთი საგაზეთო სტატიის ფორმატი როგორ დაიტევს, თუმცა, მათ შორისაც კი იყო ისეთი მარგალიტი, აუცილებლად რომ იმსახურებს მკითხველთა სამსჯავროზე გამომზეურებას.

„დამოუკიდებელ საქართველოში 8 წელიწადზე მეტხანს არავის ღირსებია მმართველობის სათავეში ყოფნაო“, – რამდენჯერმე გაიმეორა ბლანჟეთი ევროპელის იერმიღებულმა ასლან აბაშიძის მრისხანე მეტოქემ.

მაშ, მტყუანის? – აბა, ჰკითზე შენს ჯერჯერობით ბოლო შემფარებლებს, თითქმის ათი წლის განმავლობაში რომ ბაირამობდნენ (2003-2012), ვიდრე 2013 წლის შემოდგომაზე მიხეილ მესამეს საპრეზიდენტო ვადა არ ამოეწურებოდა.

კი ბატონო, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სადაა გენდერული ბალანსი? – ვატყობ, ცნობისმოყვარეობას ვერაფერს უხერხებთ.

სწორადაც ფიქრობთ, არაფერი შეგშლიათ და, სხვათა შორის, არც ძალად მედასავლეთენი ჩაჭრილან აღნიშნულ ფუნდამენტურ საკითხში. ისინი მიკროფონთან უხმობენ 45-წლიანი სტაჟით მოყელყელავე სოროსის იდეურ ნაშიერთა თავშესაფრის – რესპუბლიკური პარტიის თავქალს ხათუნა სამნიძეს.

ისე როგორ იქნებოდა, საყოველთაო აღტყინების პაათოსისთვის ეღალატა და ამ ბოლო დროს რიხმომატებულმა ქალბატონმა მშვენიერი სოლო პარტიით მოგვხიბლა, ოღონდ, ეგაა, არაფერი უთქვამს იმის თაობაზე, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის განმავლობაში „რესპები“ მუდამ რატომ არიან ნებისმიერი არჩევნებისა თუ რეიტინგების მაჩანჩალა ერთპროცენტიანი სუბიექტები. ანდა, რა უნდა ეთქვა?

და, აჰა – დადგა კულმინაციური მომენტი – „ხუთოსნებსა“ და მათ ანასხლეტებს კიევიდან სკაიპით მიმართავს საქართველოს პრემიერ-მინისტრობის ვირტუალური კანდიდატი, მისი უდიდებულესობა „ნიკალაევიჩი“.

რასაკვირველია, მისი ნააზრევის გაშიფვრა და ლოგიკურ ჯაჭვად გადაბმა რიგითი მოკვდავის შესაძლებლობებს აღემატება, ამიტომ გიტოვებთ ფუფუნებას, მას პენსიონერი საოკოვიდის მემუარებიდან გაეცნოთ. მანამდე, იმედია, ემოციები დაცხრება და სასჯელმოხდილი ნაცფიურერი ერთხელ მაინც ობიექტურად შეაფასებს მოვლენებს.

გია პლატონიშვილი

ჯოჯო ბაყაყების ხმაარეული ყიყინი

„მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს აღარაფერი შეხვდაო...“

ამ ძველი ანდაზისა არ იყოს, სწორედ ასეა ეგრეთ წოდებული გვარამია-წკვარამიას მთავარი (მტარვალი) არხის საქმე. თვითონვე, თავადვე იგონებენ ციფრებს, მერე, მართალია, მეოცნებეებს ამ ციფრების სიის სათავეში აყენებენ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ისევ და ისევ ნაციონალთა გამარჯვებას აჭაშნიკებენ. შეყრის ეს გვარამია-წკვარამია თავის კუდად ქცეულ მაჩანჩალა პოლიტიკოს-ანალიტიკოსთ და თავისი მოკლე ჭკუით თავისივე მაამებლად გამოკლეჭკუებულთ თავის დაკრულზე სულ ბასტი-ბუბუს აროკებს.

ასე იყო ამ კვირა ღამესაც. ილაყბეს, იქაქანეს, ხან ასე დაასკვნეს, ხან — ისე და ბოლოს ის აზრი გამოიტანეს, რომ „ოცნება“ ოპოზიციაში გადადის. სწორედ ისე, როგორც ზემოხსენებულ ანდაზაში ცოლი ამბობს, მე და ჩემმა ქმარმა ვიანგარიშეთ და ჩემს მაზლს აღარაფერი შეხვდაო...

თუმცა, ამ ღამეს მაზლსაც შეახვედრეს. ამჯერად ქართული მიწა-წყლის კარგა გვარიანი ნაწილი. მთელი 3500 ჰექტარი. ესაო, ისაო, მართალია, დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსი ჯერ კიდევ V საუკუნეშია ქართველთაგან აშენებული, მაგრამ ამის გამო თუ იმის გამო დღეს აზერბაიჯანის საზღვრებშიაო. ასე რომ, საზღვრის დამდგენი კომისიის ორი წევრის დაჭერა წინასაარჩევნო პოლიტიკური იონიაო.

თქვე ცუდო, უგვანო ადამიანებო, ნუთუ მილიონი ძარღვიდან ერთიც არ გიძგერთ ქართული! რა შუაშია არჩევნები ან თუნდაც რუკები! სხვადასხვაგვარი არჩევნები თითქმის ყოველ წელიწადს იმართება და მაშ, აბა, პირში წყალი დავიგუბოთ, ხან პეტრეს გავაძარცვინოთ თავი და ხან — პავლეს? მით უმეტეს, რომ ახალმოპოვებული რუკებიც საქართველოს სასარგებლოდ ღაღადებენ! თქვე ნაძირალებო, თუ ქათამმაც კი, წყალი რომ დალია, ღმერთს ახედა, თქვე რა ჯანდაბა მოგდით, რომ მაღლა კი არა, მიწაში იყურებით... თქვენს ტყუილებს მოკლე კი არა, საერთოდ არა აქვს ფეხები!..

მერე ახლა კვატია, ბატია, ხატია ჩაერთო, დეკანოიძე, რომელსაც თურმე ბოლო ერთი თვეა, ესე იგი, არჩევნების წინ, უთვალთვალებენ, თანაც არა მარტო თვითონ, არამედ მისი ოჯახის წევრებსაც. თუმცა, თვალთვალს ვინა ჩივის, ოფისში თურმე მოსასმენ აპარატსაც უყენებენ. ამ ხატია, კვატია, ბატიას, როგორც ჩანს, ხალხი მიუხვედრელი ჰგონია. მარტო გულუბრყვილო კი არა, მიუხვედრელიც. აბა, ვის რაში სჭირდება ამ სააკაშვილის ნეზვი აჩრდილის დევნა-მოსმენა, როცა მთელი ოცდაოთხი საათი ხან ერთი ტელევიზიის ეკრანზე ქაქანებს, ხან — მეორეზე და ხანაც — მესამეზე. ლოგიკა არ გივარგა, ხატიკუნა თუ ბატიკუნა! ბოდიში, კვატიკუნა!

რახან ლოგიკა ვახსენე, ბარემ ისიც უნდა ვთქვათ, რომ უთუოდ თითქოს ლოგიკური გამოდის გვარამია-წკვარამიას ის დასკვნა, რომ დღეს საქართველოში ბიძინა ივანიშვილმა ქართველ ხალხს ჭაობში ამოგვაყოფინა თავი, ადრე უფსკრულში გადაგვჩეხა, მაგრამ როგორც გაირკვა, თურმე ჭაობში ვყოფილვართ.

აბა, ჭაობში რომ არ ვიყვეთ, ამდენი გომბეშო-ბაყაყის ყიყინი საიდან?..

სხვა გზა არა გვაქვს, 31 ოქტომბრამდე როგორმე უნდა გავუძლოთ ამ ნაციონალებად მონათლული ჯოჯო ბაყაყების ხმაარეულ ყიყინს. თუმცა, პოლიტიკური ყიყინი თქვენ 31 ოქტომბრის შემდეგ ნახეთ!..

გურამ წიკლაური

საკმაო დრო გავიდა ბოლო მეექვსე წერილის (იხ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 11-12 აგვისტო, 2020 წ.) შემდეგ ჩვენი ჟურნალისტური გამოძიებისა და ახლა გვაქვს კანონით მინიჭებული უფლება, გაუწყოთ — გოქსელ გენჩზე, როგორც იქნა, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე! ჩვენი ჯგუფი თანამშრომლობს გამოძიებასთან და ვიმედოვნებთ, ეს ურთიერთობა ნაყოფიერი იქნება და გოქსელ გენჩი კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯება. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უკვე ისიც საქმეა, რომ ეს თაღლითი ჩვენს ქვეყანაში ვეღარ შემოდგამს ფეხს და მის მაქინაციებს საქართველოში ბოლო მოეღო.

გოქსელ გენჩი - თურქი „ოსტაპ ბენდერი“? (7)

მაგრამ... ამ სასიხარულო ცნობის შემდეგ, ძალზე შემაშფოთებელი ფაქტი უნდა გაუწყოთ: როგორც ჩანს, გაზეთის პუბლიკაციებმა ძალზე გააღიზიანა გოქსელ გენჩი და მისი ქართველი მფარველები. ამა წლის 1 სექტემბერს მე-12 პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდა სისხლიანი გარჩევა — სასტიკად გაუსწორდნენ იურისტ ირაკლი კერესელიძეს. დაახლოებით 15:00სთ.-ზე მას საკანში შეუვარდა 12 პატიმარი, რომლებსაც ირაკლი არ იცნობდა. ის წააქციეს და დაუწყეს ფეხებით ცემა... დავიწყოთ იმით, რომ მე-12 დაწესებულებაში სასჯელს იხდიან ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომლები. ეს დაწესებულება ითვლება ყველაზე დაცულ და წესრიგიან დაწესებულებად. ყველგან არის ვიდეოთვალი. ერთი სიტყვით, ყოველი კუთხე-კუნჭული კონტროლის ქვეშაა. თქმა, რომ ეს იყო სპონტანური, არაორგანიზებული სადამსჯელო აქტი, ძალზე არასერიოზულია. უეჭველად, ირაკლი კერესელიძეზე ძალადობა იყო დაგეგმილი, კარგად ორგანიზებული და განხორციელებული. ჩვენი აზრით, დამკვეთი არის ან ძალზე გავლენიანი პირი, თანამდებობაზეა, ანდა ე.წ. ფულის ტომარაა, ან ორივე ერთად. ის გავლენიანი პირი რომ არის, მეტყველებს ფაქტი — ერთ-ერთი თავდამსხმელი სულ ორი დღის შემდეგ უნდა გამოსულიყო თავისუფლებაზე. წარმოიდგნეთ, ასეთი ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდებოდა მსგავს, მეტად სარისკო აქციაში მონაწილეობას, დამკვეთისგან რომ არ მიეღო ასპროცენტიანი გარანტია ხელშეუხებლობისა. ასევე, არაა გამორიცხული, მოძალადეს იმხელა ფული შესთავაზეს სანაცვლოდ თავისუფლებისა, რომ ის უყოყმანოდ დათანხმდა, მიეღო მონაწილეობა კერესელიძის ეგზეკუციაში. დაიწყო გამოძიება. ყველა თავდამსხმელს წაუყენეს ბრალი. სამს — 126-ე მუხლი (ცემა ჯგუფურად), ხოლო დანარჩენს — 370-ე მუხლით. ახლა,მოდით, გავიცნოთ სამი მთავარი თავდამსხმელი:

გიორგი ზედგენიძე. ჩვენი ინფორმაციით, ეს პიროვნება დაკავებამდე მუშაობდა შპს „საქართველოს რკინიგზაში“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში ფოტო-ვიდეოოპერატორად. 2014 წელს ის დააკავეს და წაუყენეს ბრალდება, კერძოდ, მან რკინიგზის პრესამსახურის ტექნიკა გაიტაცა. მათ შორის, თანამშრომლის ოქროულობაც. ზედგენიძეს მიუსაჯეს 8 წელი. ბატონი ზედგენიძე ცხოვრობს ვაკეში, მეგობრობს საქართველოს „ოპერეტული“ დიქტატორის მიხეილ სააკაშვილის ადმინისტრაციაში (2003-2004წწ.) მომუშავე ბადრი ნათობაძესთან. ამ უკანასკნელს უკავშირდება განსაკუთრებული სისასტიკით ჩადენილი გახმაურებული მკვლელობა ვაკეში, რომელსაც სოსო ჯოხაძის სიცოცხლე ემსხვერპლა. ნათობაძე დღესაც მსჯავრდებულია. ის დაკავშირებულია კრიმინალური სუბკულტურის მატარებელ ადამიანებთან, დღესაც დიდი ავტორიტეტით სარგებლობს პენიტენციურ დაწესებულებებში და არა მარტო... როგორც აღვნიშნე, გიორგი ზედგენიძეს მეგობრული ურთიერთობა აქვს ნათობაძესთან, რაც არ გამორიცხავს ზედგენიძის კავშირს **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** გარკვეულ ფრთასთან.

მეორე თავდამსხმელი — **მერაბ ირემაძე.** სასჯელს იხდის 142-ე მუხლის თანახმად. ბატონი ირემაძე იმითაა ჩვენთვის საინტერესო, რომ ცხოვრობს ხულოში, ხოლო მისი ნათესავები მოღვაწეობენ თურქეთში. აქაც არ არის გამორიცხული, რომ ისინი ჩვენი ჟურნალისტური გამოძიების „გმირის“ — გოქსელ გენჩის და ბათუმელი მებაჟის — დავით ტეტვიძის ახლო მეგობრები ან საქმიანი პარტნიორები არიან. ამ ვერსიასაც აქვს არსებობის უფლება. ჩვენი წყარო ყველა ამ კონტაქტს ამოწმებს, რაზეც შემდეგ წერილში მოგახსენებთ.

მესამე თავდამსხმელია თბილისში მცხოვრები **თენგიზ გრიგალაშვილი.** გასამართლებულია 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა). წყაროს ინფორმაციით ბატონი თენგიზი არის „ნაციონალური მოძრაობის“ განთქმული პროკურორის ვალერი გრიგალაშვილის ნათესავი. ჯერჯერობით, დამატებით ინფორმაციას ამ პიროვნებაზე არ ვფლობთ, ძიების პროცესში ვართ.

ასევე, ე.წ. რეორგანიზაციის საბაბით, (ანუ პირადი საქმე არც ერთს არ გაუფუჭეს), გაათავისუფლეს მე-12 დაწესებულების დირექტორის ორი მოადგილე, უსაფრთხოების და რეჟიმის უფროსები. ისე, რა „რეორგანიზაციაზეა“ ლაპარაკი? მე-12 დაწესებულების ხელმძღვანელობამ, სულ ცოტა, არაეფექტურად იმუშავა. შესაძლოა, მას ჰქონდა ინფორმაცია და დაფარა ის, დამკვეთს ხელი არ შეუშალა და, სულაც არაა გამორიცხული, რომ მე-12 დაწესებულების ადმინისტრაცია დამკვეთის თანამზრახველიცაა. ბავშვმა თუ არა, საქმეში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ ამ დაწესებულებაში ადმინისტრაციასთან შეუთანხმებლად მსგავსი რამ ვერ მოხდებოდა. ეს არ არის „შავი ზონა“ და მას არ ჰყავს ე.წ. მაყურებელი.

რაც ყველაზე საყურადღებოა, ჩვენი წყაროს ინფორმაციით, გიორგი ზედგენიძეს და მერაბ ირემაძეს არავითარი შეხება არ ჰქონდათ ძალოვან სტრუქტურებთან. აქედან გამომდინარე, კითხვას ვუსვამთ იუსტიციის სამინისტროს და მის ქვემდებარე სპეციალურ პენიტენციურ სამსახურს: როგორ აღმოჩნდა ეს ორი არაძალოვანი მე-12 დაწესებულებაში, სადაც სხვა დაწესებულებებთან შედარებით, სასათბურე პირობებია. კანონით მათ მე-12 დაწესებულებაში არაფერი ესაქმებოდათ. ამიტომ, მოვითხოვთ გამოძიებისგან, გაარკვიოს, ვისი ინიციატივით ან შუამდგომლობით აღმოჩნდა ეს ორი ადამიანი ზემოხსენებულ საპყრობილეში.

ჩვენი ჟურნალისტური ჯგუფის წევრები არაერთხელ დაუკავშირდნენ სპეციალური პენიტენციური სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს და დაუსვეს კითხვები, თუმცა, მათზე პასუხი დღემდე არ მიგვიღია. ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან მივმართავ იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსს ხატია ლუტიძეს, დაავალოს თავის სამსახურს, რომ ჩვენს დასმულ კითხვებზე გაგვცენ პასუხი.

ჟურნალისტური გამოძიება გრძელდება.

გიორგი კორძაძე

ლეკვი ლომისა სწორია,
ძუ იყოს, თუნდა ხვადია.
შოთა რუსთაველი

ქართულ ეკონომიკას გამიჯნურებული

ხელისუფლების სათავეში „ქართული ოცნების“ მოსვლის შემდეგ, პასუხისმგებელ სახელმწიფო თუ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე წარმატებული მოღვაწეობით არაერთმა ქალბატონმა ისახელა თავი და როგორც საკუთარ ამქარში, ისე ერთიანად საზოგადოებაში, სავსებით დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა. ამის დასტურად, ვფიქრობ, ამჟამინდელი აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის მთავრობის წამყვანი სამინისტროების ხელმძღვანელ ქალბატონთა გვარსახელების დასახელებაც კმარა.

ვთქვათ, ქვეყნის სამართალდაცვის სფეროში ბოლო წლებში მიღწეული წარმატებები უდავოდ იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის ნიჭიერებას და პრინციპულობას უკავშირდება; განხორციელებული მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების წარმატებით ფრთაშესხმა – ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მაია ცქიტიშვილის სახელსა და ავტორიტეტს, ხოლო მთელ რიგ ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო სამამულო ეკონომიკაში შექმნილი საკმაოდ რთული ვითარების უნარიანად, მინიმალური დანაკარგებით, გაძღოლა, უდავოდ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას დამსახურებაა.

პირდაპირ გულს უხარია, ტრიბუნაზე შემდგარ ჩვენს სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე ქართველ ქალბატონებს რომ ვუმზერ, როგორი დამაჯერებლობით, როგორი პროფესიონალიზმით, როგორი სიყვარულით გადმოსცემენ თავიანთი დარგის სადღეისო პრობლემების არსს, თანაც უმეტესად ამას ზეპირად, ქაღალდებში ჩაუხედავად აკეთებენ.

ის ქალბატონი კი, რომელზეც ამ წერილში ხაზგასმით მოგახსენებთ, როგორც საყვარელი ლექსის სტრიქონებს, ისე დამაჯერებლად წარმოთქვამს სუყოველ ციფრს, რა ციფრიც ქვეყნის აღმავლობაზე მეტყველებს, თანაც, ამ აღმასვლაში, ამ დაწინაურებაში თვითონაც ლომის წილი უძევს. თანაც, უაღრესად რთულ ვითარებაში, მძვინვარე პანდემიის პირობებში უწევს თანამოაზრეთა დიდი გუნდის ხელმძღვანელობა, რომლის წევრებთან ერთად ყოველდღიურ წარმატებებს აღწევს ქვეყნისთვის ისეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე დარგში, როგორიცაა ეკონომიკა.

ეკონომიკის განუვითარებლად კი წარმოუდგენელია საერთოდ ქვეყნის აღმასვლა, თითოეული მოქალაქის შეთხელებული ჯიბის მეტ-ნაკლებად ამოვსება, უმუშევრობის დონის დაწევა და სიღარიბისთვის კისრის მოგრეხა.

ვფიქრობ, ობიექტური მკითხველი დამეთანხმება, რომ ყოველივე ზემონათქვამ ქათინაურს, რომელიც სამამულო ეკონომიკის თავ-ქალის **ნათია თურნავას** მისამართით ვთქვი, კიდევ მრავალი შეიძლება დაემატოს, გადამეტებული არაფერი იქნება, თუმცა კიდევ ერთს ვიტყვი მხოლოდ. ეს ქალბატონი, სახელმწიფო უღელში შებმული, უკვე წლებია, ღირსეულად, მართლაც თავშეურცხვენელად უძღვება საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველაზე რთულ უბანს – ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ასევე ღირსეული დედაა, ძლიერი ქართული ოჯახის დედაბოძი, არც თავისი ძვირფასი მშობლების მიმართ მოვალეობა ავიწყდება და სანაქებოდ ასრულებს როგორც ოჯახის, ისე სახელმწიფოებრივ საქმეს.

ახლა კი უპრიანი იქნება, რომ ქალბატონ ნათია თურნავას უნარიანი ხელმძღვანელობით, ქვეყნის ეკონომიკის სფეროში ბოლო წლებში მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა და განხორციელებული ცვლილებების შედეგად სასიკეთო ძვრების შესახებაც ვთქვათ მართალი სიტყვა.

თავდაპირველად მკითხველს სიამოვნებით უნდა შევახსენოთ, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, დღეს სამამულო წარმოების, ასევე მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პროგრამას ახორციელებს. კერძოდ, კოვიდ-19-ის პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის შესამსუბუქებლად გაიზარდა სესხისა და ლიზინგის სუბსიდირების პროგრამის სახეობათა ოდენობა, მასში შევიდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი ცვლილება. თუ რაოდენ საგულისხმოა აღნიშნული ცვლილებები, საამისოდ მხოლოდ რამდენიმე ციფრს დაგისახელებთ: სესხისა და ლიზინგის სუბსიდირების გარკვეული სახეცვლილების შედეგად, მის მონაწილეთათვის დადგენილი სასესხო ლიმიტი 50 ათას ლარამდე შემცირდა, ხოლო მაქსიმალური მოცულობა 10 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც სასესხო დაფინანსებით სარგებლობის შესაძლებლობას გაცილებით მეტ ბიზნესმენს მისცემს.

იცვლება საკრედიტო საგარანტიო სქემის მასშტაბიც. კერძოდ, პროგრამის ბიუჯეტი 20-დან 300 მილიონ ლარამდე გაიზარდა, რაც 2,1 მილირდი ლარის საკრედიტო პორტფელს უზრუნველყოფს.

მნიშვნელოვნად – 10-დან 40 მილიონ ლარამდე გაიზარდა ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამის ბიუჯეტი, ხოლო რეგიონების განვითარებაზე ორიენტირებულ საგრანტო პროგრამის (გრანტის) მოცულობის ზედა ზღვარი 30 ათასი ლარი გახდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტი ენიჭება მეწარმე ქალებს, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებსა და სხვა მოწყვლად ჯგუფებს. თანაც, პროგრამაში გამარჯვებულ მეწარმეთათვის, თანამონაწილეობის თანხა 20 პროცენტიდან 10 პროცენტამდე შემცირდა. ასევე, საყურადღებოა, რომ პროგრამის სამიზნე ტერიტორიულ ერთეულებს თბილისიც დაემატება.

აღსანიშნავია ისიც, რომ სულ ახალი ინიციატივით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ეგიდით მიმდინარე პროგრამების რიცხვს დაემატა „იპოთეკური კრედიტების მხარდაჭერის მექანიზმის“ პროგრამაც, რომელიც კოვიდ-19-ის პანდემიის გამო სამშენებლო სექტორში წარმოშობილი ეკონომიკური სიძნელეების გადალახვაზეა მიმართული. პროგრამა უძრავ ქონებაზე მოთხოვნის ზრდას სხვადასხვა კომპონენტის მეშვეობით ითვალისწინებს. ის დეველოპერულ სექტორში წარმოშობილ ისეთ გამოწვევათა საპასუხოდაა შემუშავებული, როგორიცაა სფეროში მოღვაწე კომპანიების კაპიტალზე შემცირებული წვდომა, წინასწარი გაყიდვების მაჩვენებლის ვარდნა, უძრავი ქონების ფასების შესაძლო შემცირება, სამშენებლო პროექტების დასრულების რისკების საფრთხის მომატება და ა.შ.

ცალკე უნდა აღინიშნოს მასშტაბური საპრივატიზაციო პროექტი „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“, რომელიც ერთობ მაღალი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს. ეს პროექტი უპრეცედენტოა თავისი მასშტაბით, მის ფარგლებში ასი პარალელური აუქციონი ერთდროულად ტარდება, რის შედეგადაც სახელმწიფო ქონება, გამარტივებული პროცედურების გზით, კერძო საკუთრებაში გადადის.

სადღეისოდ ერთიანად პრივატიზებულია სახელმწიფოს კუთვნილი უძრავი ქონების 102 ობიექტი, რის შედეგადაც ქვეყნის ბიუჯეტში 78,61 მილიონი ლარი შევიდა. გარდა ამისა, გასაყიდად გამზადებულია კიდევ 134 ობიექტი, რომელთა ჯამური საწყისი ღირებულება დაახლოებით 313,54 მილიონი ლარია.

საგულისხმოა, რომ გაზაფხულზე ამერიკის შეერთებული შტატების სილიკონის ველზე „500 Georgia“ პროგრამის ორი გამარჯვებული სტარტაპი გაემგზავრება.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ნათია თურნავას ერთ-ერთი ბოლოდროინდელი განცხადებით, მეტად მნიშვნელოვანია, რომ გარკვეული დარგების კომპანიებისთვის მოგებისა და საშემოსავლო გადასახადის ოდენობამ 5 პროცენტამდე დაიწია, რის შედეგადაც საქართველოში უკვე შემოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების მაღალი ტექნოლოგიების სფეროში ერთ-ერთი დიდი ამერიკული კომპანია EPAM-ი, რომელიც გეგმავს ჩვენში რამდენიმე ასეული ახალი მაღალანაზღაურებადი ადგილის შექმნას ჩვენი თანამოქალაქეებისთვის...

ზემოაღნიშნული პროგრამები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ ზღვა საქმეში, რომელთა წყალობით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო სამამულო ეკონომიკას მართავს უაღრესად რთულ შიდა და საგარეო ვითარებაში. ყოველივე ამის განხორციელება კი შეუძლებელია გონივრული, პროფესიულად მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობის გარეშე, რასაც მინისტრი ნათია თურნავა ისევე წარმატებით არმევს თავს, როგორც გამოჩენილი დირიჟორი...

დიმიტრი კოტეტიშვილი,
ნიუ-იორკის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი
ტ. 599-28-02-01

ჩემი გიორგი ლეონიძე,

ვინც ქართული ენის ნაყოფიერ ხოდაბუნში, როგორც გულთმისანმა გუთნისდედამ, მარადიული ღალიანი ორნატი გათელა

გურამ გოგიაშვილი



შემდეგ ჩვენ ბატონ ლევანს მივმართეთ, რომ ეს მშვენიერი წერილი რომელიმე გაზეთშიც გამოექვეყნებინა... პასუხად საოცარი და მოულოდნელი რამ გვითხრა: არავის უთხოვია და ჩემით მერიდება მიტანაო...

ამ სიტყვებმა, რა თქმა უნდა, გაგვაკვირვა, მაგრამ ამავე დროს, კიდევ ერთხელ დაგვანახა მისი უსაზღვროდ მოკრძალებული დამოკიდებულება ყველასა და ყველაფრისადმი... გავიდა წლები... ეს წერილი დღემდე არსად დაბეჭდილაო...“

ლეონიძის მარადიულ მკითხველს, ჯერ კიდევ საკუთარსახეშერჩენილ ქართველობას ვუძღვნით ამ წერილის პუბლიკაციას...

წერილი მართალია, არცთუ მცირეა, მაგრამ რახან თავის დროზე სადმე პოპულარულ გამოცემაში არსად არ დაბეჭდილა, უნდა იცოდეს მკითხველმა, მით უმეტეს, რომ დიდი შემოქმედის აგრერიგად სრულად დანახვა მხოლოდ ისევ არანაკლებ დიდ შემოქმედს ძალედვა:

„ქართველ მწერალთა კარზე ისევ ჩამოირეკა ზარი გლოვისა, ეს დღისა და ღამის ზღვარი კი არ არის, სულისა და ხორცის გაყრაა!

ქართული ლექსი ძაძით შეიმოსა, შავ ჩარჩოში ჩაჯდა ქართული წიგნი.

კვლავ კალმების დახრისა და შემჭიდროვების დღეა, შემოქმედთა შუბლის შეკვრისა, ისევ ამოუვსებ ხარვეზის შეძლებისდაგვარ თავმომმის ჟამია!

ხშირად იტყვიან ხოლმე, რომ შეუცვლელი პიროვნებანი არ არსებობენ... დიდი მწერლების მიმართ ეს მეტად პირობითია!

გიორგი ლეონიძე დიდი, გამოკვეთილი, ვეება ნიჭისა და თავისი სამყაროს მქონე შემოქმედი იყო და ამიერით მას ვეღარავინ შეცვლის, ისე, როგორც არსებითად შეუცვლელნი დარჩნენ ილია და აკაკი, ნიკოლოზ მარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონ ტაბიძე, სიმონ ჩიქოვანი...

ისევ უბეს შლის მთაწმინდა, ამ ბოლო დროს მან მეტად დიდი ღალა აიღო, უფრო დიდი, ვიდრე სამშობლოს ერთობლივმა აკვანმა ახალი ფარდი ნიჭი შვა.

წავიდა სიცოცხლიდან დიდი მგოსანი და მოღვაწე, დაუცადელი შემოქმედი და მოუსვენარი მკვლევარი, ისე მოულოდნელად დაეცა, რომ ვერც სამშობლოს სიყვარულით იჯერა გული და კალმის მიღმაც უამრავი გამომწიფებული წიგნები დარჩა.

შეირხა ახალ-ქართული ლექსის ჯავარი და ის, რაც სისხლსავსე სიცოცხლით სჩქეფდა და ბრწყინავდა, ამიერით უკვდავების კრთომით აღივსო.

გადაიწურა დიდი მგოსნის ხორციელი წუთისოფელი, დადუმდა ლომის ბუბუნი, მისი ჩამოხეხული ხმა, ურიამულა ქუჩებში აღარ გაიელვებს მისი ცოტა აჩეჩილი მხრები, მკაფიო და მძლე, თითქოს ბოლნისის ქვიდან მოკვეთილი სახე-სხეული.

ადამიანის გარდაცვალება, საზოგადოებრივად, საზომების გამოცვლასაც ნიშნავს, ერის მეხსიერებაა ყველაზე დიდი სამხილავი და განსაწმენდელი... და მრავალ ამაქვეყნის დიდს მხოლოდ სამარის კარამდე მიჰყვება თავისი საქმე და სახელოვნობა.

გიორგი ლეონიძე, ერში ლექსად გასული გოგლა, მუდამ სხვა ანდამატიანი შემოქმედი იყო. იგი თითქოს რამდენიმე, ნიჭით აღსავსე კაცისგან იყო შენადუღარი:

ლექსი, პოემა, მხატვრული პროზა, გამოკვლევები, ლიტერატურული და ისტორიული ძიებანი, მომმე ლიტერატურათმცოდნეობა, ხელმართალი რედაქტორობა, ინსტიტუტის მესვეურობა, მრავალ საზოგადოებათა ბურჯობა, თავდაწერილი ეროვნული მოღვაწეობა, მუდამ ახალი ზრახვებით აღსავსე და მოუსვენარი.

მისთვის გულგრილობა ისევე უჩვეულო იყო, როგორც ნელი სიარული ან ულექსოდ ნათევი ღამე. მუდამ შემოქმედების ქარმორბალაში მშფოთვარე, ყოველი სამშობლოსეული და მწერლური, მისთვის იყო უაღრესად ახლო შემხები და არაფერი ადამიანური მისთვის არ იყო უცხო!

იშვიათად თუ რგებია ვინმეს ბედი მშობლიური ენის ასე გრძნობისა და ფლობისა, ერის ჩანგის მფლობელიც იყო ივი. ამიტომაც ყოველი მისი ახალი ლექსი, თუ გუნდი ლექსთა, ჯერ ფრთამალ მერცხლად დაივლიდა მთელ საქართველოს, გულში ჩაუბუდდებოდა მრავალ მკითხველს, მერმე სიტყვა-სიტყვად ჩაჯდებოდა წიგნებისა და ლექსიკონების სათანადო ბუდეებში, როგორც ქართული სიტყვის ახალი თარგულ-კაზმული!

ხალასი ნიჭის და პოეტური ბუნების კაცი, ცოცხალი „დედაენა“ და „ბუნების კარი“ ერთად, ჩვენს შორის „მომდინარე“ იორი და ალაზანი, ხან პირმცინარე, ხან ბობოქარი ერთად ზოდებისა და ზათქის მომტანი, ჩაძიებული მკვლევარი – ხელნაწერების ხელი, ბუნების გულთმისანი, აღფრთოვანებული ტრფიალი ხორციელი და სულიერი სილამაზისა!

გიორგი ლეონიძე, როგორც ლიტერატურული მოვლენა, იმ სამკუთხედის არეშია, რომლის განმსაზღვრელი ისეთი სხვადასხვა დროისა და ხასიათის მწერლებია, როგორც საბა-სულხანი, მესიკი, ვაჟა-ფშაველა!

იგი საოცრად გრძნობდა საქართველოს ყოველ სულიერ თუ ყოფით გამოვლინებას, აკადემიიდან – მარნეულამდე... მის დაუცხრომელ ოცნებაში ერთად თავსდებოდნენ ძველი, დანგრეული ტაძრები, სასახლეები და ახალი ქოხ-სამკითხველოები, ბულდოზერები და ატომური დანადგარები! ალაზნის ჭალები და ივრის არხები, წინანდლის ვარდები და მარტოდ მდგარი ოლეები!

იგი – სულით და ხორცით – დიდებული ქართლოსანია, ჩვენს მჭექარ საუკუნეში, ჩვენს შორის ქარს შერკინებულ ნატვრის ხედ იდგა, ლექსსა და ხატოვან სიტყვას ხმლად იქნევდა, ჯაჭვის პერანგად აცმევდა თავის ერსა და მწერლობას! „არ დაიდარდოს“ გულითა და ღვიძლით წერდა, სხვას ამშვიდებდა, თავად შემხნევებულად დარდობდა და სწორედ გულ-ღვიძლში სწვდა მსახვრალი ხელი!

ლეონიძე ორმაგ გზაჯვარედინზე იდგა და ბევრ რასმეს აკავშირებდა... იგი ამჟამად, ჩვენს მგოსანთაგან, ყველაზე უფრო დიდი, ცოცხალი ხიდი იყო ძველსა და ახალ თაობათა შორის. მან დახურა ვაჟასეული ფრთა საუკუნის მიჯნიდან მადლიანად გადმოწვდენილი.

...და ლეონიძე ყველაზე უფრო მორჭმული და ფესვგადგმული, ხალხურ საწყისებნაწოვარი მგოსანი იყო... ლექსად მოსული ქართული მიწა, თავისი მთებით, ველებით, ზეცით.

ცა და მიწად ქცეული წინაპრებით... ჩამოხვეწილი, ჩუქურთმიანი, მზენასვამი შემოქმედებით! ამიტომ ახლავს მის ყოველ ლექსს ბუნებრივი სურნელი დაღვრილ ხსენისა, ხან დასეტყვილი ვაზის მტევნისა, ხან ახალგალეწილ ხორბლისა, ხან ცხელ თონიდან ამოყრილ დედის პურისა!

კეთილ წიგნს დაობლება არ უწერია, დამწერის შემდეგ მთელი ერი ხდება მისი მიმოქმედი. ამიერით, ახალქართულ მწიგნობრობის თითქმის ყოველ დარგში, მარად დარჩება ლეონიძური კალმის და სულის მადლიანი მონაქნიერი! მისი წიგნები და ლექსები ჩვენს შორის ისე ივლიან, როგორც მომავალში გატყორცნილი თანამგზავრები!

კიდევ ერთი მთაწმინდელის დასავანებით ამაღლდება უკვდავების წიგნად გადაშლილი მთა! უფრო გულმხურვალედ გადმოადგება ტფილისს! ჩვენც უფრო გულისხმიერ აღტაცებით აღვაპყრობთ მზერას... დიახ, „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ, უდიდესი ჩვენი ერთობლივი რწმენისა და სიყვარულის „წიგნი“ ხომ მთაწმინდა არის... ვაგლახ, რომ იგივეა, მრავალ განუხორციელებელ ოცნებათა და მწერლურ ზრახვათა დუმილით სავანეც.

ჩვენი გულები შევამჭიდროოთ, დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს კალმებს, ფიქრებს, დარდებს... სადღეისო და სახვალიო საქმიანობას... ვიმოქმედოთ, ვისწავლოთ, ვიმუშაოთ, ვწეროთ წიგნები ჩვენი ერისა და მთაწმინდის შესაფერისი... ეს იქნება ჩვენი ნუგეში!.. თუ კალამი კალმობს, იგი ერის სულის საზომი და თერმომეტრია! ეს თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, ერთხელ კიდევ ნათელჰყო მთაზე წასულმა გიორგი ლეონიძემ – აწ მთაწმინდელმა!“

ამას წინათ გამორჩეულად ხალასი პოეტის ვახტანგ ჯავახაძის ნასახსოვარი უიშვიათესი „უცნობი“ ჩამივარდა ხელთ და გადავფურცლე. ალბათ, თვითონ ამ უცნობმა, „უცნაურ ვარსკვლავზე დაბადებულმა პატარა ბავშვმა“ არ იცოდა თავისი თავი და თავისი ბედნიერად გატანჯული ცხოვრება ისე, როგორც რომ ამ საოცარ წიგნშია წარმოჩენილი, წიგნში, რომელმაც თავისი საყვარელი პოეტის ტკბილ-მწარე თავგადასავლის მჩხრეკელად აქცია ავტორი და თანაც კინაღამ თავისი ნარუქი პოეზია აგულმავიწყა. „უცნობის“ ამ ფურცვლა-ფურცვლაში ანაზდად მე ჩემი გიორგი ლეონიძე წამომაგონდა სამშობლოს წინაშე გაწეული ფასდაუდებელი ღვაწლით, ჭეშმარიტად აუწონავი ამაგით... კენჭი რა არის, სამშობლოს კენჭიც არ იყო იმისთვის უცხო... და ამ ფიქრებში ჩემდა უნებურად აზრი გამელექსა:

„სამშობლოსათვის გული ართველო
არ არის, არა, თურმე იოლი,
ისე იცოდა მან საქართველო,
ვით ჯავახაძემ გალაკტიონი...“

ვინ დაწერს, თორემ განა გოგლაზე არ დაიწერებოდა, როგორც „დამწიფებული ცხოვრების“ ტრფიალზე, ცოტათი სხვა სათაურიანი, ვთქვათ, „ნაცნობი უცნობი?“.

ჩემთვის ბევრ ნაჩუქარ წიგნს შორის მუდამ მეძვირფასებოდა და მეძვირფასება „სახელგამის“ მიერ 1954 წელს გამოცემული გიორგი ლეონიძის „ერთტომეული“, რომელიც გიორგი ბატონმა ასეთი წარწერით მისახსოვრა: **„ჩემს პატარა ძმობილს, გურამს – ქოსატყუილას. გიორგი ლეონიძე“**. ამით ქარაგმულად შემახსენა, რომელ ნომერშიც შემპირდებით ლექსის დაბეჭდვას, იმ ნომერში უნდა დაბეჭდოთო.

ბევრმა იქნებ იჩოთიროს კიდეც და საყვედურიც მითხრას, რა შენი ტოლი ნახე, გიორგი ლეონიძეს წარამარა გოგლად რომ მოიხსენიებო. სწორედ იმათ გასაგონად უნდა ვთქვა, რომ ცოცხალი გიორგი ლეონიძე 35 წლით იყო ჩემზე უფროსი, 1966 წელს 66 წლისა შეერთო მზეგადასულ გრძელ სოფელს. ამჟამად მე უკვე 20 წლით უფროსი ვარ ჩემს გიორგი ლეონიძეზე, რაც უფლებამოსილს მხდის, რომ გოგლად ვიხსენიებდე ჩემს უსაყვარლეს ადამიანსა და შემოქმედს, რომელმაც ჩვენდა ანდერძად დააგდო უფლის მიმართ ვედრება: **„ფეხზე ააყენე ჩვენი მამული, ჩვენი შემაფერხებელი ისტორია, მოგვეც განახლების ძალთა ღონიერება... შენ დაამხე ჩვენი მტერი ქართველთყლაპია“ და ეს არისო ჩემი „გულის ნაღარი“**, დასძენდა.

უთუოდ მართალს ბრძანებს პროფესორი ელენე კოშორიძე, რომ ზედროულობა მსჭვალავს გიორგი ლეონიძის მონათხრობს ენის, კერძოდ, ლექსიკის თვალსაზრისითაც. ერთი მთლიანობაა მისთვის ქართული ენა (ძველი და ახალი თავისი კილოკავებით), რაც თითქოსდა იმის წიაღშია ჩაბუდებული ენის გასანედლებლად, ლექსიკური მარაგის შესავსებად და გამოსაცოცხლებლადო. მწერლისთვის მოშლილია ზღვარი ძველსა და ახალ ქართულს შორის. იგი ლაღად დანავარდობს ენის წიაღში, ერთი მხრივ, ქართული სიტყვიერების ქომაგად და, მეორე მხრივ, დაუნჯებული ლექსიკის ასამოქმედებლადო... დანავარდობს, რამეთუ გოგლას სწამდა, რომ **„ქართველთა ენაი უფსკრულ ღრმა არს...“**

მგონი, გოგლას დაბადების 95 წლისთავი იყო. რედაქციაში წერილი მოიტანა იმჟამად არცთუ უცნობმა ლიტერატორმა ეთერ შუშანიამ, კონსტანტინე გამსახურდიას მეგობარმა. ის წერილი მერე აღარსად არ გამოქვეყნებულა, ალბათ, დღევანდელი მკითხველისთვისაც საგულისხმო იქნება. ამიტომ რამდენიმე ადგილს მოვიარგებ...

(დასასრული მორიგ ნომერში)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №115-117, 118-119, 126-136

გიორგი ლეონიძე და თამარ ჭავჭავაძე

თბილისის ცენტრალური პარკის მშენებლობა დაიწყო

ყოფილი **იპოდრომის ტერიტორიაზე თბილისის ცენტრალური პარკის მოწყობის სამუშაოები დაიწყო. პარკი 36 ჰექტარზე განთავსდება და მისი მოწყობისთვის სახსრებს ფონდი „ქართუ“ გაიღებს.**

მიმდინარე პროცესს დედაქალაქის მერი კახა კალაძე ფონდ „ქართუს“ გამგეობის თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანთან ერთად გაეცნო.

კახა კალაძის თქმით, ორ წელიწადში ყოფილი იპოდრომის ტერიტორიაზე თბილისის ცენტრალური პარკი იქნება გაშენებული.

„ძალიან მიხარია, რომ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება. კიდევ ერთი, ძალიან დიდი რეკრეაციული სივრცე გაჩნდება ქალაქში, სადაც ყველა თაობის ადამიანი დაისვენებს. სამუშაოები ეტაპობრივად ხორციელდება. ტერიტორია მთლიანად არ ჩაიკეტება, რადგან დღესაც ბევრი ადამიანი სარგებლობს. პროექტი რამდენიმე ათეული მილიონი ჯდება. სამუშაოები დაიწყო და ვულოცავ თბილისს. დღეიდან 2 წელი დაჭირდება ამ პროექტის დასრულებას“, — განაცხადა კახა კალაძემ.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, **ტერიტორიაზე მოეწყობა მულტიფუნქციური სივრცე, სადაც გათვალისწინებულია ბოტანიკური ბაღი, იაპონური ბაღი, ფრანგული ბაღი, ამფითეატრი, შადრევანი, სკეიტ პარკი, სასაზღვრო სატყეო ზონა, შიდა სატყეო სექტორი, საგანმანათლებლო ცენტრი, მდელო, ზიპლაინი, სპორტის ზონა და კვების ზონა. ასევე, მოეწყობა ცხოველების სასეირნო სივრცე, პანორამული პლატფორმა, გუბურა, თოკების პარკი, საფეხმავლო ხიდი, სამთო ველოსიპედების ბილიკები, სტრიტბოლის სივრცე, არეალები ლაშქრობისა და კლდეზე ცოცვისთვის, ხოლო პარკის გარშემო იფუნქციონირებს სამი ავტოსადგომი.**

ბინები 600-ზე მეტი სამხედროსთვის

ვარკეთილში, აბაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. წლის ბოლომდე სხვადასხვა ლოკაციაზე ბინებს 600-ზე მეტი სამხედრო მოსამსახურე მიიღებს, რითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეების წინაშე 2007 წელს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას სრულად შეასრულებს.

გუშინ ირაკლი ღარიბაშვილი აბაშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსების მშენებლობის პროცესს თავდაცვის ძალების მეთაურთან, გენერალ-მაიორ გიორგი მათიაშვილთან და თავდაცვის მინისტრის მოადგილესთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად ადგილზე გაეცნო.

ვარკეთილის სამხედრო ქალაქში №13 და №15 კორპუსების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება. ამჟამად ორივე კორპუსში მიმდინარეობს შიდა საინჟინრო-საკომუნიკაციო, გადატიხრისა და ფასადის მოსაპირკეთებელი სამუშაოები. წლის ბოლოს ბინები სამხედროებს თეთრი კარკასის მდგომარეობაში ჩაბარდება. კორპუსები აღჭურვილი იქნება სამგზავრო და სატვირთო ლიფტებით, კეთილმოეწყობა და გამწვანდება კორპუსების მიმდებარე ტერიტორიაც.

2013 წლიდან დღემდე, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 19 მარტის №135 ბრძანებით დამტკიცებული კონტრაქტის საფუძველზე, თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული ბინა სახელმწიფოსგან საკუთრებაში გადაეცა 1374 პირს.

სამხედრო მოსამსახურეებისთვის ღირსეული პირობების შექმნა და მათი საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფა თავდაცვის უწყების განახლებული სოციალური პოლიტიკის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

რუსთაველებს ნიჩბოსნობის სკოლა ექნებათ

რუსთავის **პარკში ნიჩბოსნობის სკოლის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობის ადგილას სიმბოლური კაფსულა განათლების მინისტრის მოადგილემ „ქართული ოცნების“ რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან ერთად ჩადო.**

სპორტკომპლექსი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღიჭურვება და ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. კლუბის მშენებლობა საზოგადოება „რუსთაველებისა“ და ადგილობრივი ბიზნესსექტორის ხელშეწყობით მიმდინარეობს და წლის ბოლომდე დასრულდება.

ხაშურის შემოვლითი გზა სრულად გაიხსნა

ხაშურის **შემოვლითი გზის 13 კმ-იანი მონაკვეთის 4-ზოლიან ტრასაზე მოძრაობა სრულად არის შესაძლებელი,** — ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, აგვისტოში აღნიშნული გზის 13 კმ-იანი მონაკვეთიდან 11.5 კმ-ზე ექსპლუატაციაში შევიდა 4-ზოლიანი გზა, ხოლო დარჩენილ 1.5 კმ-ზე ავტოტრანსპორტი 2-ზოლიან გზაზე მოძრაობდა. აღსანიშნავია, რომ ამ მონაკვეთზე აშენდა 420-მეტრიანი ხიდი, რომელიც საქართველოში ყველაზე მაღალი ბურჯებით გამოირჩევა. ახალი გზა, აგარა-ზემო ოსიაურის ბოლო მონაკვეთზე იწყება და სურამში მოწყობილ ახალ კვანძთან უერთდება არსებულ გზას.

ხაშურის შემოვლითი გზა მნიშვნელოვნად განტვირთავს ქალაქ ხაშურს საცობებისგან, ტრანზიტული მოძრაობა კი სრულად განხორციელდება ახალ გზაზე. ხაშურის შემოვლითი გზის საშუალებით მგზავრობის დრო 40-50%-ით შემცირდა და გადაადგილება 20 წუთის ნაცვლად 10 წუთშია შესაძლებელი“.

ელექტროავტობუსები ბათუმის ქუჩებში

აჭარის **მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ქალაქ ბათუმის მერთან არჩილ ჩიქოვანთან ერთად ბათუმელებს ახალი ელექტროავტობუსები წარუდგინა.**

როგორც თორნიკე რიჟვაძემ განაცხადა, თანამედროვე მსოფლიო ელექტროტრანსპორტზე გადადის და ამ მიმართულებით გამონაკლისი არც ბათუმია.

„ეს არის თანამედროვე სერვისით აღჭურვილი ავტობუსები, რომელიც ადაპტირებულია შშმ პირებზე. ბათუმი იქნება ერთ-ერთი პირველი ქალაქი, სადაც ელექტროავტობუსები იმოძრავებს. ეს პროცესი მუდმივად განახლებულ რეჟიმში მომავალ წელსაც გაგრძელდება“, — განაცხადა აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ.

70 მგზავრზე გათვლილი 9,5 მეტრი სიგრძის თანამედროვე სტანდარტების ელექტროავტობუსებში 24 დასაჯდომი ადგილია. ადაპტირებულია შშმ პირთათვის. ტრანსპორტში დამონტაჟებულია გათბობა და კონდიცირება, ხმოვანი სისტემა და ვიდეოკამერები. ელექტროავტობუსს შეუძლია გაიაროს დატენვის გარეშე 25 კილომეტრი.

მარწყვის პლანტაციები ასპინძის სოფლებში

გარემოს **დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი შპს „თოკის აგროპროდუქტების“ მეურნეობაში იმყოფებოდა, სადაც მარწყვის პლანტაციაში აგროტექნიკური სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.**

მარწყვის პლანტაცია, რომელიც ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ თოკში, ზღვის დონიდან 1640 მეტრზე მდებარეობს, ნიადაგურ-კლიმატური ფაქტორების შესაბამისადაა მოწყობილი და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს. როგორც გიორგი ხანიშვილმა აღნიშნა, მიმდინარე წელი უხვი მოსავლით გამოირჩევა; ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კოვიდის პანდემიის პირობებშიც კი, საქართველოში არ შეჩერებულა ფერმერების ხელშეწყობა.

კომპანიას მარწყვის პლანტაცია 2 ჰექტარზე აქვს გაშენებული; დამატებით მიმდინარეობს 1 ჰა-ზე ახალი პლანტაციის გაშენება. განხორციელებულმა ინვესტიციამ 500,000 ლარი შეადგინა. მათ შორის 65,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტია. მარწყვის რეალიზება ბრენდის „მწვანე რესპუბლიკა“ სახელით ადგილობრივ ბაზარზე ხორციელდება. კომპანია მუდმივად — 5, სეზონურად კი 30-მდე ადამიანს ასაქმებს. საშუალო მოსავლიანობამ ჰექტარზე 25 ტონამდე მარწყვი შეადგინა. კომპანია სანერგე მეურნეობასაც ფლობს, სადაც მარწყვის 50-მდე სხვადასხვა ჯიშია დაცული.

31 ოქტომბერი – აგრესიული ლიბერალიზმის, როგორც ნაძირალების უკანასკნელი თავშესაფრის ნგრევის დღე

რატომ გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა? მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ მიმართ საკმაოდ დიდი სიმპათიები გამაჩნია, მუდმივად ვწერდი იმ შეცდომების შესახებაც, რასაც სხვადასხვა სუბიექტური მიზეზების გამო ეს პოლიტიკური ორგანიზაცია უშვებდა. პირადად ჩემთვის 31 ოქტომბერი არის გარდამტეხი დღე ქართული პოლიტიკური სივრცის გაჯანსაღებისთვის, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი როლი „საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ეკისრება.

სწორედ ამიტომ უპრიანია არჩევნებამდე ათი დღით ადრე მკითხველი კიდევ ერთხელ დაფიქრდეს, თუ როგორი საქართველო სურს, როგორ საქართველოში აპირებს ცხოვრებას. წავა თუ არა არჩევნებზე და ვის მისცემს თავის ხმას. ხმას, რომელიც ნებისმიერი ადამიანის უდიდესი უფლებაა. უფლება, რომლითაც ის არა მხოლოდ რომელიმე პოლიტიკურ ძალას, ან მაჟორიტარობის კანდიდატს შემოხაზავს, არამედ თავად აკეთებს იმ არჩევანს, რომლის უფლება მას, როგორც თავისუფალ ადამიანს გააჩნია.

მკითხველი უნდა დაფიქრდეს, თუ ვის ანიჭებს უმაღლეს საკანონმდებლო უფლებას. მხარს უჭერს რევანშს თუ აღმშენებლობას, მხარს უჭერს რაღაც ქიმერებს თუ რეალობას. მხარს უჭერს უაზრო და პოპულისტურ დაპირებებს თუ ძალას, რომელმაც რეალურად გვაჩვენა თავისი შესაძლებლობები და მომავლის ხედვა.

სწორედ ამიტომ ვთვლი, რომ ეს წერილი ზუსტად იმ დღეს იხილავს მზის სინათლეს, როცა ყველა პლუსი და მინუსი ვიცით და როცა მხოლოდ ერთი რამ – ჩვენი სურვილის ზუსტად ჩამოყალიბება და ბიულეტენის შემოხაზვით მისი გაფორმება გვრჩება.

31 ოქტომბერი არ არის მხოლოდ რომელიმე პოლიტიკური ორგანიზაციის გამარჯვების, ან დამარცხების დღე. 31 ოქტომბერს ქართველმა ამომრჩეველმა საბოლოოდ უნდა უთხრას უარი იმ ჩამყაყებულ სიტუაციას, რაც ამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში დამყარდა.

საუბარი მაქვს არა იმ სახეებზე, რომლებიც პოლიტიკას მხოლოდ ფულის საკეთებლად იყენებენ, არა იმ ლუზერ ტიპებზე, რომლებსაც არანაირი პროფესია არ გააჩნიათ, არაფრის კეთება არ შეუძლიათ, ჩვეულებრივი ზარმაცი უსაქმურები არიან და არაჯანსაღი ამბიციების გამო „პოლიტიკაში წავიდნენ“, არამედ ვწერ იმისთვის, რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანაში უნდა მოხდეს დიდი გარდატეხა და პოლიტიკურ სივრცეში დარჩნენ მხოლოდ ის ძალები, რომლებსაც რეალურად უყვართ სამშობლო (დიახ, სწორედაც „სამშობლო“ და არა „ქვეყანა“ ან „სახელმწიფო“) და ხელეწიფებათ საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული პრინციპების ეროვნულ ინტერესებთან შერწყმა და ქვეყნის განვითარების იმ გზის მოძებნა, რომელიც ამდენი წელიწადია როგორც საგარეო, ისე საშინაო კუთხით არსებული კრიზისიდან გამოგვიყვანს.

ამ პროცესს „მენტალური რევოლუცია“ დავარქვი და დღეს თამამად ვაცხადებ, რომ ეს რევოლუცია 31 ოქტომბერს უნდა მოხდეს, რადგანაც „წილიც ნაყარია“, „სანტიაგოშიც წვიმს“ და „კართაგენი უნდა დაინგრეს“.

ყოველგვარი ლიტერატურული, ფილოსოფიური და ჟურნალისტური შესავლის გარეშე, პირდაპირ ვიტყვი, რომ აგრესიულმა ლიბერალებმა და საქართველოში მათმა პოლიტიკურმა დასაყრდენმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ (ამ კლასტერში, ცხადია, „ევრონაცებიც“ შედიან) საქართველოში მოსპეს დემოკრატია, მისი უმთავრესი ფაქტორით – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებით!

მოსპეს და საზოგადოებას შეაძულეს ნამდვილი ევროპული ღირებულებები. დაამახინჯეს ისეთი სათუთი ცნებები, როგორებიცაა „ნაციონალური“, „პოლიტპატიმარი“, პოლიტიკური სპექტრი, ოპოზიცია.

გაანადგურეს ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები, როგორებიცაა „სახალხო დამცველი“ და „სამოქალაქო სექტორი“.

სრულიად დაამახინჯეს არჩევნებისა და წინასაარჩევნო პერიოდის ჩატარების ფორმატი.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ არის ის ერთადერთი რეალური პოლიტიკური ძალა, რომელიც უპირისპირდება ამ მარაზმს. უპირისპირდება აგრესიულ ლიბერალიზმს, უპირისპირდება იმ ე.წ. პოლიტიკურ ძალას, რომელმაც საქართველოში უსინდისობის ისეთი დიქტატი დაამყარა, რომელიც ხრავს ქვეყნის პოტენციალს და ცდილობს, ბოლომდე მიწასთან გაასწოროს არა მხოლოდ ქართული, ეროვნული ფასეულობები, არამედ სახელმწიფო დააყენოს საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების ჩაკვლის გზაზე.

ის, რომ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ერთადერთი ნამდვილი და კონსტრუქციული ოპოზიციური ძალაა, უამრავი მაგალითით დადასტურდა.

საილუსტრაციოდ ორ მაგალითს დაგისახელებთ: როდესაც თბილისის მერის არჩევნების დროს ინაშვილმა პირველ ტურში დამარცხების შემდეგ კალაძეს აღუთქვა მხარდაჭერა და საპრეზიდენტო არჩევნებზე პირველ ტურში სალომე ზურაბიშვილის დამარცხების (დიახ, სწორედაც რომ დამარცხების!) შემდეგ ჯალათების წინააღმდეგ თავისუფლების მოედანზე 150000-იანი აქცია ჩაატარა და მეორე ტურში ამომრჩევლის მაქსიმალური რაოდენობის უზრუნველყოფა შეძლო.

არ გავიხსენებ არც ირმა ინაშვილის მკაცრ და ხშირ შემთხვევაში იმ ხისტ გამონათქვამებს, რომლებიც ბევრი ქართველის გულში ჩაბუდებულ სათქმელს იმეორებს.

არ გავიხსენებ იმ რეზოლუციის პროექტს, რომელიც ნამდვილად არ იყო რეპრესიული. პირიქით, იყო დემოკრატიისა და ცივილური განვითარების გზის საფუძველი და რომელიც ჩააგდეს.

ჩააგდეს და ჩააგდო იმ ხალხმა, რომლებიც დღეს ვითომდა ებრვიან ნაცების მიერ ჩადენილ საზიზღრობებს, ამხელენ და მოგვიწოდებენ, ჩვენც გავიზიაროთ მათი პათოსი.

ამ დროს ყოველთვის მახსენდება ფრაზა ფილმიდან „დარიკო“... ჯარიც თქვენ გყავთ, ჟანდარმიც და ჩაფარიც. მე ამ ჯოხით სად ვდიო დარიკოს!

ბევრჯერ დამიწერია იმ ფორსირებული შეტევის შესახებ, რომელიც „პატრიოტთა ალიანსის“ წინააღმდეგ ხორციელდებოდა სხვადასხვა იდიოტური ბრალდებებით დაწყებული, საეთერო სივრცის იმ ჩაკეტვით დამთავრებული, რითაც ქვეყნის აშკარა მტრობის საპირწონედ, ამ პოლიტიკურ ძალას გაკეთებული საქმეების წარმოჩენის საშუალებას არ აძლევენ („დავით გარეჯა“ – შუქდებოდა 5 კაცის მიერ მოწყობილი პროვოკაციები და არ გაშუქდა აქცია, რომელიც იმ დაძაბულ ფონზე ყველაზე კორექტულად ჩატარდა. შუქდებოდა ზუგდიდში პანდემიის პროვოკაცია, ვითომდა პირბადეების დარიგებით შეფუთული და არ გაშუქდა პატრიოტების მიერ 15000 ადამიანისთვის ყოველგვარი წეების დაცვით გადაცემული სამედიცინო ნაკრებები. შუქდებოდა 200-კაციანი აქციები, სადაც 100 პოლიციელი, 50 ჟურნალისტი და უამრავი გამვლელი „ტრიალებდა“ და არ შუქდებოდა სპორტის სასახლეში ჩატარებული მრავალათასიანი შეხვედრები მხარდამჭერებთან...)

„პატრიოტთა ალიანსს“ ჰქონდა ერთი საკმაოდ დიდი პრობლემა – სპიკერების და განსაკუთრებით მეორე ფლანგის, ანუ როგორც დღეს ამბობენ, „გარე სპიკერების“ ფაქტობრივი არარსებობა.

მხოლოდ ირმა ინაშვილის აქტიურობა პოლიტიკურ ძალას ვერ წარმოაჩენდა იმ დატვირთვით და იმ სრული პოტენციალით, რაც გააჩნდა.

ჩვენს გაზეთში დაწერილი ამ დამუნათების შემდეგ (ირმა ინაშვილმა მადლობაც გადამიხადა იმ წერილისთვის) პარტიამ საკმაოდ მძლავრი და პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. რამდენიმე კვირაში ალიანსის ეგიდით რამდენიმე ასეული ახალგაზრდა შეიკრიბა. დაიწყო მუშაობა ადგილობრივი ლიდერების წარმოჩენაზე და ბოლოს, მართლაც შესანიშნავი ნაბიჯი – „მემარცხენე ალიანსის“ საკმაოდ ძლიერ და გამოცდილ ლიდერშიპთან გაერთიანება.

ძალიან ძლიერი სვლა იყო 3 ოქტომბერს „თავისუფლების მოედანზე“ ჩატარებული შეხვედრა ამომრჩეველთან, სადაც პარტიის ბრძოლისუნარიანობა სიის ოცეული მაჟორიტარობის კანდიდატებთან ერთად გაცხადდა.

ასევე ძალიან ძლიერი სვლა განხორციელდა ინაშვილის კანდიდატურის ნაძალადევის რაიონში დაყენებით.

ეს ნამდვილად დიდი გამოწვევაა, რადგანაც უფრო მარტივი იქნებოდა რომელიმე, გაცილებით უფრო „რბილ“ ოლქში ბრძოლა.

ნაძალადევის რაიონი კი ფაქტობრივად ქართული, თბილისური მაჯისცემის მაჩვენებელია და მანდ გამარჯვება არა მხოლოდ პარლამენტში ერთი მაჟორიტარის ხმას, არამედ გაცილებით უფრო მეტ მორალურ დატვირთვას ნიშნავს. ეს ინაშვილმაც კარგად იცის და როგორც ჩემი ნაძალადეველი მეგობრები მეუბნებიან, მას საკმაოდ ძლიერი და მზარდი პოზიციები აქვს.

„პატრიოტთა ალიანსს“ ებრძვიან ე.წ. „კვლევებითაც“.

ებრძვიან იმ სრულიად აბსურდული მონაცემებით, რომელთა მიხედვითაც მკვლელებსა და ჯალათებს 17% აქვთ რეიტინგი, ხოლო „ლეიბორისტებს“, რომელთა კვალი მათი ლიდერის როყიო და იდიოტური გამოთქმების გარდა, ყველაზე მგრძნობიარე რადარებზეც არ ჩანს, ალიანსის თანაფარდი რეიტინგი აქვთ.

მოკლედ რომ ვთქვა, 31 ოქტომბერი არ არის ის დღე, როდესაც არჩევანი რომელიმე პოლიტიკოსის თუ პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად კეთდება.

31 ოქტომბერი არის დღე, რომელიც ქვეყანას გაასუფთავებს იმ ნაძირალებისგან, რომელთათვისაც აგრესიული ლიბერალიზმი უკანასკნელ თავშესაფრად იქცა და თავიანთი აგრესიული ვნებების დასაკმაყოფილებელ იარაღად გამოიყენება.

მინდა, რომ 1 ნოემბერს ქვეყნის აღმშენებლობის იმედით გავიღვიძო. აღმშენელობის და არა ისევ წარსულის აჩრდილებთან ბრძოლის განწყობით.

გია გაბრიჭიძე

ალეკო ელისაშვილი: 2020 წლის ოქტომბრის არჩევნები ორი დღის განმავლობაში ჩავატაროთ!

პარტია „მოქალაქეების“ ლიდერი ალეკო ელისაშვილი მიიჩნევს, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები პანდემიიდან გამომდინარე ორი დღის განმავლობაში – 30 და 31 ოქტომბერს უნდა ჩატარდეს.

ელისაშვილის თქმით, **ამის მიზანია, საარჩევნო უბნებზე ხალხის ნაკადი გადანაწილდეს და არჩევნებზე მისულ ამომრჩეველთა დაინფიცირების ნაკლები რისკი იყოს. პარტია „მოქალაქეები“ აღნიშნულ ინიციატივასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტს საგანგებო განცხადებით მიმართავს.**

ჯანდაცვის ცხელ ხაზს კადრები დაემატება

ბოლო 24 საათის განმავლობაში ბინიდან კლინიკაში 226 ადამიანი გადაიყვანეს, საკარანტინო ზონიდან კლინიკაში გადაყვანილია 19 ადამიანი, ბინიდან კარანტინში გადაყვანილია 78 პაციენტი, ხოლო კლინიკიდან კარანტინში 26 პაციენტია გადაყვანილი, — ამის შესახებ ჯანდაცვის მინისტრმა საკოორდინაციო საბჭოს დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ეკატერინე ტიკარაძის თქმით, როდესაც პაციენტს არ ესაჭიროება კლინიკის სივრცეში ყოფნა, ის სასტუმროში გადაჰყავთ.

მისივე თქმით, ცხელ ხაზთან დაკავშირებით ჯანდაცვის სამინისტროს ბაზაზე უკვე მოხდა საშტატო შერჩევა და მათი დამატება ამ კვირაში მოხდება.

* * *

საქართველოში **კორონავირუსი კიდევ 1186 ადამიანს დაუდასტურდა, 278 პაციენტი კი გამოჯანმრთელდა.**

ამ დროისთვის საქართველოში კორონავირუსის 18 663 შემთხვევაა დადასტურებული, გამოჯანმრთელებულია 8338 ადამიანი, გარდაიცვალა 143 პაციენტი

დაექვითებათ თუ არა თვითიზოლაციაში მყოფ პირებს ხელფასები?

ჯანდაცვის **მინისტრის ეკატერინე ტიკარაძის განცხადებით, თვითიზოლაციის საჭიროების შემთხვევაში, მოქალაქეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გადაეცემა.**

კითხვაზე, რომ ხშირია შემთხვევები, როცა საჯარო სამსახურში დასაქმებულ თვითიზოლაციაში მყოფ პირებს ხელფასი სრულად არ ერიცხებათ და როგორ უნდა იყოს ეს რეგულირებული, მინისტრი პასუხობს, რომ ასეთ შემთხვევაში მოქალაქეს თვითიზოლაცია საპატიო მიზეზად ეთვლება.

შედარებით რთული გვიანი შემოდგომა და ზამთარი გვექნება

შედარებით **რთული გვიანი შემოდგომა და ზამთარი გვექნება, მაგრამ ეს ყველამ ერთად უნდა გადავიტანოთ სწორი პრევენციითა და მართვით, — ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა.**

„პირბადეზე უკეთესი არაფერია, ყველაზე უკეთ იცავს. ამიტომ უნდა მივეჩვიოთ. ძალიან ხშირია ოჯახური დაინფიცირების ფაქტი. შეიძლება, თავი მოგაბეზრეთ ამ მოწოდებით, მაგრამ, დიახ, საქართველო არ არის

გამონაკლისი. ჩვენ ვართ ევროპისა და მსოფლიოს ნაწილი. ევროპაშიც და მსოფლიოშიც ეპიდემია, ასე ვთქვათ, გახურებად ფაზაშია შესული და ეს არ დამთავრდება ერთ და ორ თვეში“, — განაცხადა ამირან გამყრელიძემ.

ამირან გამყრელიძემ განმარტა როგორია საქართველოში არსებული ეპიდვითარება ევროპის ქვეყნებთან შედარებით.

„მილიონ მოსახლეზე გადათვლით ჯერჯერობით საქართველოს ძალიან კარგი პოზიცია აქვს, იმიტომ, რომ მიუხედავად ბოლო კვირებში ინტენსიური ზრდისა, ჯერჯერობით ინფიცირებულთა საერთო რაოდენობა არ არის ისეთი დიდი, როგორც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში. ამიტომ, მილიონ მოსახლეზე გადათვლით ჩვენ ვართ ჯერჯერობით ქვემო პოზიციაზე. ბოლო ორი კვირის ინციდენტობით, ანუ 100 ათას მოსახლეზე (ახალი შემთხვევების რაოდენობით), ევროკავშირის და ევროპის 53 ქვეყანას შორის სადღაც შუაში ვართ. ტესტირების მონაცემებით, რომელიც ითვლება მილიონზე ან 100 ათას მოსახლეზე, დღეს ჩვენ გვაქვს 213 ათასი PCR ტესტი“, — განაცხადა გამყრელიძემ.

ვირუსმა თანამდებობა არ იცის!..

„ქართული ოცნების“ წევრ ნინო წილოსანს COVID-19 დაუდასტურდა.

„ახლა ყველაზე მეტად ჩემ ირგვლივ მყოფები მადარდებს და მეფიქრება, ეს ის პასუხისმგებლობაა, რაც ყველას უნდა გვახსოვდეს.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა რეკომენდაციის დაცვით ვცდილობდი, ფრთხილად ვყოფილიყავი, ფაქტია, რომ ძალიან ვერაგი ვირუსია...

კიდევ ერთხელ გთხოვთ გამოვიჩინოთ განსაკუთრებული ყურადღება, გავუფრთხილდეთ ჩვენს მშობლებს და ირგვლივ მყოფ ადამიანებს“, — წერს წილოსანი.

* * *

პარლამენტის **განათლების კომიტეტის თავმჯდომარეს გენადი მარგველაშვილს კორონავირუსი დაუდასტურდა. ამის შესახებ თავად დეპუტატმა განაცხადა.**

მისივე თქმით, ინფექცია დაუდასტურდა ასევე მის შვილსაც. როგორც დეპუტატი აცხადებს, ის სახლში ოჯახის ექიმის რეკომენდაციებით მკურნალობს.

* * *

ცნობილი მთამსვლელი და ყოფილი პოლიტიკოსი გია თოთლაძე თვითიზოლაციაშია. ის ბიშკეკიდან ჩამოფრინდა და ქობულეთის ერთ-ერთ კოვიდ-სასტუმროში იმყოფება.

„გიდასტურებთ, რომ ბატონი გია ჩვენს სასტუმროში იმყოფება. ჩამოფრინდა ბიშკეკიდან, ხელზე აქვს საბუთი. ამ საბუთით არანაირი კოვიდინფექცია არ აქვს და დღეს გადადის თვითიზოლაციაში“, — განაცხადა სასტუმროს ადმინისტრატორმა.

...ან დონალდ ტრამპი გვაღადავებს, ან გიორგი ფხაკაძე გვატყუებს!..

რა „მაგიურმა“ პრეპარატმა განკურნა ტრამპი და რა ეშველება დანარჩენ მსოფლიოს?

ექსკლუზივი გაეროდან

მაშინ, როცა საქართველოში კორონავირუსი რეკორდებს ხსნის, რა შემთხვევაში შეიძლება ჩაიკეტოს ქვეყანა, როდის იქნება „კოვიდ-19“-ის საწინააღმდეგო ვაქცინა და რა პრეპარატი მიიღო შეერთებული შტატების კოვიდინფიცირებულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა, რომელმაც თავი „სუპერგმირად“ აგრძნობინა? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე გვესაუბრება გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ჯანდაცვის სფეროში, პროფესიით ექიმი, რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის ბორდის წევრი გიორგი ფხაკაძე.

— ქვეყანაში წინასაარჩევნო პერიოდია, ამასთან რეკორდულად იზრდება ინფიცირების შემთხვევების რაოდენობა. რა უნდა გააკეთოს ქვეყანამ ასეთ დროს?

— ჯერ კარგად უნდა გავაცნობიეროთ, სად ვართ. საქართველოს ჯანდაცვის სისტემას მაქსიმუმ შეუძლია აიტანოს ათასამდე მძიმე პაციენტი, ანუ ვისაც სჭირდება რეანიმაციულ განყოფილებაში მკურნალობა. ხელისუფლება როდესაც აცხადებს, რომ 3-დან 5 ათასამდე საწოლი გვაქვს, საწოლების რაოდენობა თავისთავად არაფერს ნიშნავს, თუ არ გყავს საკმარისი რაოდენობით რეანიმატოლოგები. ჯანდაცვის მინისტრი ქალბატონი ტიკარაძეც ამბობს, რომ 400 რეანიმატოლოგი ჰყავთ და 1 200 პაციენტის მართვა შეუძლიათ, ეს არის მაქსიმუმი.

— თქვენ ბრძანდებით გაეროს გენერალური მდივნის მრჩეველი ჯანდაცვის სფეროში, რამდენად კარგად იცნობთ საქართველოში არსებულ მდგომარეობას და თუ გაქვთ კონტაქტი, როგორც მრჩეველს ხელისუფლებასთან?

— მე საქართველოს მთავრობასთან არ მაქვს ურთიერთობა. არც ერთ პოლიტიკურ პარტიასთან არ ვარ „აფილირებული“, არც სახელმწიფო დაწესებულებებთან. საქართველოში ვმუშაობდი და ვმართავდი დაახლოებით 70-მდე საავადმყოფოს.

რამდენიმე წელი ვიყავი „ევექსის“ პასუხისმგებელი პირი. შესაბამისად, ვიცი, თუ რა ხდება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში, განსხვავებით სხვა ექსპერტებისაგან, რომლებსაც მხოლოდ თეორიულად აქვთ წარმოდგენა ამის შესახებ. მაქვს პრაქტიკული გამოცდილება, თუ რა ხდება საქართველოს ჯანდაცვის სისტემაში. აპოლიტიკური ექსპერტი ვარ ჩემს სფეროში.

ვაცხადებ, რომ კოვიდინფექცია არის ყველაზე დიდი გამოწვევა, რაც ქვეყანას ჰქონია ჯანდაცვის მიმართულებით.

— დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელმა ამირან ამყრელიძემ განაცხადა, რომ კოვიდვირუსი იქნება უფრო დიდი მკვლელი, ვიდრე იყო შიდსი, მალარია, ჰეპატიტი და ტუბერკულოზი. რა პროგნოზი არსებობს ამ მიმართულებით მსოფლიოში?

— პროგნოზები ძალიან მძიმეა. ამ ვირუსს ახასიათებს ცვალებადობა. საერთაშორისო კვლევებმა აჩვენა, რომ იმ ადამიანებს, ვინც უკვე კოვიდი გადაიტანეს, ახალი თანმხლები დაავადებები გამოუვლინდათ. უზიანდებათ ფილტვები, თირკმლები...

— საუბრობენ იმაზე, რომ ვინც გადაიტანა კოვიდინფექცია, მათი სისხლის პლაზმის გამოყენება ხდება მკურნალობის მიზნით, რა შეგიძლიათ გვითხრათ ამის შესახებ?

— ეს არის ერთ-ერთი საშუალება კვლევისათვის და ამას დრო სჭირდება. ისე არ ხდება, როგორც ფილმებშია — ვიღაცამ ლაბორატორიაში გამოიგონა წამალი და მეორე დღეს მთელი მსოფლიო გადარჩა. **პლაზმა იქნება, თუ რემდესივირი** (მე ძალიან დიდი კრიტიკოსი ვიყავი ამ საშუალების) თუ სხვა რამ, ამაში გარკვევა არ არის მოსახლეობის საქმე, ეს არის მეცნიერების საქმე. ერთს გეტყვით, რომ ახლო მომავალში არც წამალი გვექნება და არც ვაქცინა.

— რა გაძლევთ ამის თქმის საშუალებას?

— ეს არის რეალობა. ვაქცინის შექმნას სჭირდება 1-დან 5 მილიარდ დოლარამდე თანხა და 1-დან 5 წლამდე დრო.

როგორადაც უნდა გაკეთდეს მეცნიერული სიმულაცია, ადამიანის ორგანიზმი არის განსხვავებული. ეს არის მეცნიერება და ამას ვერ შევცვლით.

ვაქცინა რომ იყოს, მას სჭირდება დამზადება, რაც ასევე იოლი პროცესი არ არის. თუ იქნება გამოგონებული ვაქცინა, შეიძლება, ეს წლის ბოლომდეც მოხდეს, ეს არ ნიშნავს, რომ ეს ჩვენი მოქალაქეებისათვის მოკლე დროში გახდება ხელმისაწვდომი.

ვაქცინა მომავალი 2021 წლის ბოლოს თუ იქნება, ეს დიდ მიღწევად ჩაითვლება, მაგრამ მე ამის დიდი იმედი არ მაქვს.

— ამერიკის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, რომელიც დაავადდა კორონავირუსით, მალევე გამოვიდა შეხვედრებზე და განაცხადა, რომ ისეთი წამალი მიიღო, რამაც თავი სუპერგმირად აგრძნობინა. რა წამალია ასეთი?

— მე არ ვარ ბატონი ტრამპის ექიმი. ვფიქრობ, რომ მას ჰქონდა მსუბუქად გამოხატული სიმპტომები და **ეს მაგიური წამალი იყო პარაცეტამოლი,** რომელმაც დაუწია ტემპერატურა. ინფიცირებულთა 80-90 %-ში დაავადება უსიმპტომოდ, ან მსუბუქი სიმპტომებით მიმდინარეობს. მხოლოდ 10%-სჭირდება ჰოსპიტალიზაცია და ინტენსიური თერაპია. ალბათ, ბატონი ტრამპი მოხვდა იმ 90 %-ს შორის, რომელთაც მსუბუქ ფორმებში აღენიშნათ ვირუსი...

ირინა მაკარიძე

P.S. **დონალდ ტრამპი პარაცეტამოლით კი არა, ცოტა უფრო ძლიერი, მაგრამ მაინც რიგითი, ფართო მოხმარების პრეპარატით — რეგენერონით განიკურნა, ამხანაგო ფხაკაძე!.. თქვენ ეს უნდა იცოდეთ!**

◎ ფარიკაობა

ვეტერანებს ზურაბ ბოკუჩავა უხელმძღვანელებს

საქართველოს ვეტერან მოფარიკავეთა საინიციატივო ჯგუფმა ხუთი წლის წინათ დააფუძნა ფარიკაობის ფედერაციის ვეტერანთა საბჭო. პირველ თავმჯდომარედ ახალგაზრდებს შორის 1963 წლის მსოფლიო ჩემპიონი ნიკოლოზ (გივი) ანდრიაძე აირჩიეს, რომელმაც 2014 წელს ტურინში (იტალია) ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, მანამდე კი ამერიკაში მსოფლიოს პირველობაზე მიაღწია მსგავს წარმატებას.

გასულ უქმეებზე თბილისში გაიმართა საქართველოს ვეტერან მოფარიკავეთა საბჭოს საანგარიშო-საარჩევნო კრება, რომელმაც განვლილ პერიოდში გაწეული მუშაობა შეაჯამა. მოხსენებით გამოსულმა საბჭოს თავმჯდომარემ **ნიკოლოზ ანდრიაძემ** საერთაშორისო არენაზე ქართველ ვეტერან მოფარიკავეთა წარმატებებზე ილაპარაკა. კერძოდ, აღნიშნა, რომ ქართველმა ვეტერანებმა იასპარეზეს 2017-2019 წლების ვეტერანთა მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებში და საგულისხმო შედეგებიც აჩვენეს. ითქვა ისიც, რომ რეგულარულად ტარდებოდა ვეტერანთა საქართველოს ღია ჩემპიონატები და თასების გათამაშება; ყურადღება გაამახვილა ხარვეზებზე.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ სახელოვანი ვეტერანი მოფარიკავეები — **იური ოსიპოვი, გურამ კოსტავა, ზურაბ ცქიტიშვილი, გივი ცაგარელი, ალეკო ჩიტიშვილი** და სხვები. გამომსვლელებმა ყურადღება გაამახვილეს ვეტერან მოფარიკავეთა ფედერაციასა და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციას შორის აუცილებელ მჭიდრო და საქმიან კომუნიკაციაზე. აღინიშნა, რომ დასახვეწია ჯანსაღი კრიტიკის მოსმენისა და გაზიარების კულტურა, შესაქმნელი და დასანერგია ფარიკაობის განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც ქართული ფარიკაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

გელა ჩიხრაძე, ზურაბ ბოკუჩავა, ნიკოლოზ ანდრიაძე

ვეტერანმა მოფარიკავეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი ზურაბ ბოკუჩავას წინადადებას - 2021 წლიდან ჩვენთან დაფუძნდეს ქართველი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონების — **ნუგზარ ასათიანის, ვლადიმერ აფციაურისა** და **გურამ კოსტავას** სახელობის ვეტერანთა საერთაშორისო ტურნირები და იზრუნონ ამ შეჯიბრებების ევროპის ვეტერან მოფარიკავეთა ფედერაციის ოფიციალურ კალენდარში შეტანაზე.

კრების მონაწილეებმა მომდევნო ოთხი წლით ვეტერან მუშკეტერთა ფედერაციის პრეზიდენტად დაშნით ფარიკაობაში სპორტის ოსტატი **ზურაბ ბოკუჩავა** აირჩიეს.

— ვეტერან მოფარიკავეთა მოძრაობას გერმანიაში გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში ჩაეყარა საფუძველი, — გვითხრა ზურაბ ბოკუჩავამ. — **მომდევნო წლებში მას მხარი დაუჭირეს ბრიტანელებმა, იტალიელებმა, ფრანგებმა, უნგრელებმა, ავსტრიელებმა. ამ მოძრაობის შექმნა, უპირველესად, მოქმედი სპორტსმენების მიერ აქტიური სპორტისთვის თავის დანებების შემდეგ წამოჭრილმა ჯანმრთელობის პრობლემებმა განაპირობა. ასეთი ადამიანები სპორტთან კავშირის გაწყვეტის შემდეგ ფიზიკურ კონდიციებს ვერ ინარჩუნებენ. ამიტომაც 90-იან წლებში ევროპის ვეტერანთა ფარიკაობას მხარი დაუჭირა და აღიარა კონტინენტის ფარიკაობის კონფედერაციამ. 1991 წლიდან რეგულარულად იმართება ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები. ეს არის „სპორტი სიცოცხლისათვის“, რომელსაც ვეტერანი ათლეტებისთვის დადებითი შედეგები მოაქვს, მოძრაობას აქტიურად შეუერთდნენ ქართველი მუშკეტერებიც. ვეტერანთა შეჯიბრებების პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ 2019 წელს კონიაკში (საფრანგეთი) გამართულ კონტინენტის ჩემპიონატში ევროპის 24 ქვეყნის 1600 წარმომადგენელი მონაწილეობდა. ფარიკაობის რეგულარული პრაქტიკა საშუალებას გვაძლევს, სიბერის მოახლოება გადავავადოთ. ეს შესანიშნავი გზაა სახსრების მობილობის, სხეულის მოქნილობის, გონებრივი სისხარტისა და კარგი განწყობის შესანარჩუნებლად.**

ამ ამოცანებიდან გამომდინარე, მომდევნო ოთხ წელიწადში ვეტერანებისთვის საგრძნობლად გაიზრდება ადგილობრივი შეჯიბრებების რაოდენობა, აქტიურად ვიასპარეზებთ საერთაშორისო ტურნირებში; შევქმნით ვეტერან მოფარიკავეთა დახმარების ფონდს და ამ თანხას მიზნობრივად მივმართავთ ვეტერანების ჯანმრთელობისა და სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად; საქართველოს ვეტერან მოფარიკავეთა ნაკრების წევრების მსოფლიოს, ევროპის ჩემპიონატებისა და სხვა საერთაშორისო ტურნირებისთვის მოსამზადებლად, ასევე, სასპორტო ეკიპირების შესაძენად. შეიქმნება საგრანტო პროექტი სახელწოდებით — „ოთბათა ესტაფეტა — ქართული ფარიკაობა წარსულიდან თანამედროვეობამდე“, რომლის მთავარი მიზანი იქნება დოკუმენტური მასალის მოძიება ქართული ფარიკაობის ისტორიის შესანახავად, გამოჩენილი ადამიანებისა და მნიშვნელოვანი მოვლენების უკვდავსაყოფად — ციფრული არქივის შექმნა. გრანტის ფარგლებში დაგეგმილია წიგნის გამოცემა. ყოველივე ეს კი ქართული ფარიკაობის წინსვლას შეუწყობს ხელს.

ლექსო ციცაძე

◎ ლეგიონერი

მიქაუტაძე - „ჯვაროსნებში“!

როგორც შევიტყვეთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას სურს გიორგი მიქაუტაძემ „ჯვაროსანთა“ რიგებში ითამაშოს და საამისოდ საფრანგეთის მოქალაქესთან მოლაპარაკებებსაც აწარმოებს.

ჩვენი თანამემამულის თანხმობა და ქართული პასპორტი — აი, ის რეცეპტი, რაც ჩანაფიქრს რეალობად აქცევს.

მაინც, ვინ არის ეს პერსპექტიული ახალგაზრდა, არა მარტო ისტორიულ სამშობლოში რომ მიიქცია უკვე ყურადღება?

დაიბადა ქალაქ ლიონში. 7 წლამდე „გერლანდში“ თამაშობდა, შემდეგ იყო ადგილობრივი „ოლიმპიკის“ საფეხბურთო აკადემია, „პრიესტი“, პირველი პროფესიული კონტრაქტის გაფორმება „მეცთან“, სადაც იქაურ უმაღლეს დივიზიონში მხოლოდ 8 წუთით მისცეს თავის გამოჩენის საშუალება და განათხოვრება ბელგიის პირველი ლიგის წარმომადგენელ „სერენში“.

აი, სწორედ იქ აალაპარაკა საფეხბურთო სამყარო — გუნდი რომ 15 ქულით ახალი, კორონავირუსით დაღდასმული სეზონის სტარტზე გათამაშების ერთპიროვნული ლიდერია, მისი 20 წლის დებიუტანტის დიდი ძალისხმევის შედეგია, რომელმაც 7 შეხვედრაში 14(!) ბურთი გაიტანა.

ბუნებრივია, ასეთი შედეგიანობა ჰაერიდან არ მოსულა. „ყოველდღიურად ძალიან ბევრს ვშრომობ და ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები, შრომა კი ადრე თუ გვიან აუცილებლად დაგიფასდება ადამიანს. მოკლედ, გოლების საიდუმლო ძალიან ბევრ შრომას უკავშირდება“ — **ამბობს ბომბარდირი და განაგრძობს:** „ვიცი, რომ თუ ვარჯიშებზე ყველაფერი კარგად მიმდის, თამაშის დროსაც წარმატებებს მივაღწევ. მაგალითად, როცა პირველივე ტურში 4 გოლი გავიტანე, საკუთარი ძალების რწმენა გამიჩნდა და ეს მთელ გუნდს გადაედო“.

დავძენთ, რომ პირად აგენტ ფილიპ გაილოს კლიენტის უახლოეს მიზანს „სერენის“ მიერ პროქსიმუს ლიგაში ადგილის შენარჩუნება წარმოადგენს, თუმცა, პროგრესის საფუძვლიანი ამბიციაც გააჩნია.

გიორგი შოთაძე

◎ რაგბი

ფრანგულ მინაზე

შემოდგომის ტესტებისა და „რვა ერში“ ისტორიული დებიუტისთვის ღირსეულად მოსამზადებლად საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე მყოფ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს მსოფლიო რაგბის მე-9 რეგულაციის თანახმად, რამდენიმე დღით ლეგიონერები შეუერთდნენ და ტაქტიკური სქემების დასახვეწად სრული შემადგენლობით ნ-ჯერ ივარჯიშა.

შოტლანდიასთან და რუსეთთან მატჩებისთვის გუნდის თავკაცის ლევან მაისაშვილის შერჩეულმა „ბორჯღალოსანთა“ გაფართოებულმა რაზმმა საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი, ლექსო ყავლაშვილი, შალვა მამუკაშვილი, ჯაბა ბრეგვაძე, გიორგი ჭყოიძე, გიორგი მელიქიძე, ლუკა აზარიაშვილი, ნოდარ ჭეიშვილი, გრიგოლ ქერდიყოშვილი, ლაშა ჯაიანი, გიორგი ჯავახია, ბექა გორგაძე, ბექა საღინაძე, ოთარ გიორგაძე, გიორგი თხილაიშვილი, თორნიკე ჯალაღონია, იოანე იაშაღაშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, გიორგი მარგალიტაძე, თედო აბჟანდაძე, ლაშა ხმალაძე, მერაბ შარიქაძე (გუნდის კაპიტანი), გიორგი კვესელაძე, თამაზ მჭედლიძე, დემეტრე თაფლაძე, აკაკი ტაბუცაძე, სანდრო თოდუა, ზურაბ ძნელაძე, სანდრო სვანიძე, სოსო მათიაშვილი, დავით ნინიაშვილი.

შეგახსენებთ, რომ სქოთებს 23 ოქტომბერს ედინბურგის განთქმულ „მარიფილდზე“ ვეწვევით, ხოლო ჩრდილოელ „დათვებს“ 1 ნოემბერს ვაკეში, „მიხეილ მესხზე“ ვუმასპინძლებთ.

კობა კობახიძე

◎ ძალა ერთობაშია!

ევრობასკეტზეც გამოგვაღგება

მოახლოებული ევრობასკეტის წინ უპრიანად გვესახება გავიხსენოთ, რომ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქს ჩემპიონთა თასის ფინალისთვისაც უმასპინძლია. დიახ, 1959 წელს თბილისის „დინამო“ კიროვის ბაღის ღია სარბიელზე მაშინდელ გრანდთან — რიგის არმიელთა გუნდთან დამარცხდა, რომელიც იმ პერიოდში ზედიზეედ სამჯერ დაეუფლა „ვერცხლის კალათს“

ჟამთა სვლას მტკვრისპირა მარგალიტისთვის გამოცხადებული კიდევ არაერთი ნდობა მოჰყვებოდა ხოლმე, მაგალითად — ჩვენთვის საშინაო საქმედ ქცეული მოჭადრაკე ქალთა სატიტულო ბრძოლების, ჭაბუკ ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატისა და სულ ახლახანს — 2015 წელს უეფას სუპერთასზე „ბარსელონა“ — „სევილიას“ დაუვიწყარი სპექტაკლისა და ევროპის XIII ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობა.

დღეს სწორედ ამ უკანასკნელზე შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას და ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს წარსულში მიღებული ძვირფასი გამოცდილება მომავალი ფორუმის ორგანიზატორებსაც გამოადგებათ.

მაშ ასე, 5 წლის წინათ თბილისში 50 ქვეყნის 3800(!) სპორტსმენი შეიკრიბა, რომელთა ღირსეულად მიღებაც შესაძლებელი გახდა სახელმწიფოს (პრემიერ-მინისტრი — **ირაკლი ღარიბაშვილი**), დედაქალაქის მთავრობის (მერი — **დავით ნარმანია**), ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის (პრეზიდენტი — **ლერი ხაბელოვი**) ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის (თავმჯდომარე — **ალექსი ახვლედიანი**) და კერძო სექტორის სამაგალითო თანამშრომლობით.

მართლაც, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ძალა ერთობაშია, რასაც ხაზი სეოკ-ის თავკაცმაც გაუსვა: **„თავდაპირველი გეგმის მიხედვით, თბილისში უნდა გარემონტებულიყო უკვე არსებული არენები, რომელთა დიდი ნაწილი კერძო საკუთრებას წარმოადგენდა, საბოლოოდ კი აშენდა და ქალაქს შეემატა სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემული ექვსი სრულიად ახალი ნაგებობა: 10 ივლისს საზეიმო ვითარებაში გახსნილი „ოლიმპიური პარკის“ ოთხი სარბიელი (ტანვარჯიშისა და ფრენბურთის არენები, საცურაო კომპლექსი, მძლეოსნობის სტადიონი), საჩოგბურთო კომპლექსი და ხელბურთის არენა“.**

დიღმის ტერიტორიაზე წამომართული სპორტკომპლექსის „ახალი თბილისის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალი დაამშვენა სკულპტურული კომპოზიციის „ოლიმპიური ალი“ წარდგინებამ, რომლის ავტორია **ლევან ვარდოსანიძე.**

ასეთ ვითარებაში საქართველოს დელეგაციის წევრებს გულშემატკივართა გაწბილების უფლება არ ჰქონდათ და მათაც ფესტივალების ისტორიაში საუკეთესო ნადავლით — 10 მედლით (4 „ოქრო“, 6 „ბრინჯაო“) დაასრულეს ასპარეზობა.

ტრადიციისამებრ, აღნიშნული მონაგრის ლომის წილი ძიუდოისტებს უკავშირდება — 9(!), ხოლო მეათე ტანვარჯიშში გვერგო, სულ კი სამასამდე ახალგაზრდა ქართველი ათლეტის მიერ მოხვეჭილი ჯილდოების რაოდენობა სპორტის 5 სახეობაში 68-მდე გაიზარდა (20 „ოქრო“, 17 „ვერცხლი“, 31 „ბრინჯაო“).

აღსანიშნავია, რომ ორჯერ 1997 და 2005 წლებში, თანატოლთა პრესტიჟული კომპლექსური ღონისძიებების კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **ვახტანგ კოპალეიშვილისა** და **კობა ჟორჟიკაშვილის** გაწვრთნილი ფეხბურთელები ავიდნენ, მაგრამ, დიდი მარჩიელობა არ უნდა, რომ მოპოვებული მედლების აბსოლუტური უმრავლესობა ტატამის ოსტატთა დამსახურებაა. სიამაყით შეიძლება ითქვას, რომ ლაურეატთა შორის **ჯარჯი ზვიადაურს, ივერი ჯიქურაულს, ლაშა გუჯეჯიანს, ლუხუმ ჩხვიმიანს, ზებედა რეხცვიაშვილს, ზვიად ხანჯალიაშვილსა** და **ბექა ღვინიაშვილს** ვხვდებით.

რაც შეეხება საკუთარ კედლებს, თბილისში თავი ისახელეს: **მზია ბებოშვილმა, ეთერ ლიპარტელიანმა, ონისე სანებლიძემ, რობინზონ ბეგლარიშვილმა** („ოქრო“), **ნატალია ყიფშიძემ, ზურაბ კახნიაშვილმა, თემურ ნოზაძემ, ბაგრატ ნინიაშვილმა, გელა ზაალიშვილმა** („ბრინჯაო“, ყველა ძიუდო) და **დიმიტრი გოვოროვმა** („ბრინჯაო“, ტანვარჯიში).

დავძენთ, რომ საქართველოს ნაკრებმა მხოლოდ 1991 წელს ბრიუსელში გამართული ევროპის პირველი ახალგაზრდული ოლიმპიური დღეები გამოტოვა, ფესტივალი კი 2005 წელს იტალიის ქალაქ ლინიანოში ეწოდა.

ბეჟან დოლიძე

საქართველოში ინოვაციური სამშენებლო მასალა შეიქმნა!

პირველად საქართველოში, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის ლაბორატორიის ბაზაზე, ქართველი მეცნიერების მუშაობის შედეგად, ინოვაციური სამშენებლო მასალა შეიქმნა. როგორც ექსპერტ-გამომ-

გონებელმა მალხაზ ტურძელაძემ გადაცემაში „ბიზნესი იმედზე“ აღნიშნა, მაღალი სიმტკიცის და კონსტრუქციული მსუბუქი ბეტონების უნიკალურობა მდგომარეობს იმაში, რომ ქართული ნედლეულით იწარმოება. ტუფი და თიხაფიქალი, რომელიც საქართველოში უხვად მოიპოვება, მასობრივ წარმოებაში ჩართვის შემთხვევაში პროდუქტს ბევრად გააიაფებს.

„სწორედ ამ თიხაფიქლის ბაზაზე მივიღეთ დანამატი დაახლოებით, 650 გრადუსზე დამუშავების შემდეგ, რომელიც ცვლის ძვირადღირებულ, იმპორტირებულ მიკროსილიკას, რომლის საბაზრო ფასი დაახლოებით ორი ლარი, ორლარნახევარია, ხოლო ამის საბაზრო რომ გადავიანგარიშეთ, 10-15 თეთრის ფარგლებშია. ანუ იმპორტირებული თუ აძვირებს ბეტონს 60-70 ლარით, ადგილობრივი დაახლოებით გააძვირებს 10-15 ლარით“, – განაცხადა ქართველმა მეცნიერმა.

მაღალი სიმტკიცის და კონსტრუქციული მსუბუქი ბეტონების შემთხვევაში მიკროსტრუქტურულ დანამატად გამოყენებულია თერმომოდიფიცირებული მინერალური დანამატი, რომელიც მიიღება ტუფის და თიხაფიქლების, პემზის 550-700 გრადუს ტემპერატურაზე მოდიფიცირებით და შემდგომი წმინდად დაფქვით. მიღებული ბეტონი გამორჩეულია მაღალი სიმტკიცით, საიმედოობით და არ არის მიდრეკილი ბზარების წარმოქმნისაკენ. ხოლო მსუბუქი კონსტრუქციული ბეტონი გამოირჩევა შემცირებული წყალშთანთქმით და ყინვამედეგობის მაღალი მაჩვენებლით. სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებისათვის კი დღეს ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს ადგილობრივი ნედლეულის შექმნა წარმოადგენს.

IMEDINEWS.GE

სანთელი

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით ვიუწყებით ძვირფასი კოლეგისა და მეგობრის, ძველი ლელოელის, სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის დამფუძნებლისა და პირველი თავმჯდომარის, ათეული წლების განმავლობაში „სოვეტსკი სპორტისა“ და „ფუტბოლ-ჰოკეის“ კორესპონდენტის, კალათბურთში საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის, მრავალი კონკურსის ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალრის, 97 წლის

გარუნ აკოპოვის

გარდაცვალებას და თანავუგრძნობთ განსვენებულის ოჯახს.

ხსოვნა

საქართველოს საინჟინრო აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი

გურამ ვარშალომიძე

და თანაგრძნობას უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს მენავთობეთა საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი, საზოგადოების წევრი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სამთო ინჟინერი, პედაგოგი და გულითადი მეგობარი

გურამ ვარშალომიძე

მთელი საზოგადოება დიდ მწუხარებას გამოთქვამს მისი გარდაცვალების გამო, იგი ყოველთვის იქნება ჩვენთვის როგორც მაგალითი კეთილსინდისიერების, გულისხმიერების, პროფესიონალიზმის, სითბოსა და სიყვარულის.

მისი ხსოვნა ყოველთვის დარჩება ჩვენს გულში.

საქართველოს მენავთობეთა საზოგადოება,
გაერთიანება „საქნავთობის“ და კომპანია GOGL კოლექტივი.

◎ „შეშლილი კავკასია“

პანიკა სომხური არმიის რიგებში

აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის 26 წლის წინ გაყინული კონფლიქტი ისევ ცხელ ფაზაში მძვინვარებს – გარდაცვლილთა და დაჭრილთა რაოდენობა უკვე ათასობით სამხედროს შეადგენს. მაღალტექნოლოგიური იარაღის ფონზე საგრძნობია აზერბაიჯანული არმიის უპირატესობა ბრძოლაში. სომხურმა მხარემ აღმოსავლეთ და სამხრეთ მიმართულებებზე არსებული ფრონტის ხაზიდან ტოტალურად დაიხია უკან.

შეგახსენებთ, რომ უკანასკნელ დღეებში აზერბაიჯანელებმა დაიკავეს უშუალოდ მთიანი ყარაბაღის ზონაში ქალაქი ჰადრუტი და ფიზულის ნასახლარი, აგრეთვე მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყველა სიმაღლე. აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრო თავის ოფიციალურ გვერდზე აქვეყნებს ვიდეოკადრებს, სადაც ასახულია დასახლებულ პუნქტ ფიზულის ცენტრში აღმართული ეროვნული დროშა.

თავდაცვის უწყება აგრეთვე აქვეყნებს ფიზულიში სომხების მიერ მიტოვებული საბრძოლო ნაწილის კადრებს. აღნიშნულ ბაზაზე სომხურმა შენაერთებმა უკან დახევის დროს დატოვეს ასეულობით საარტილერიო ჭურვი, ტანკები, საარტილერიო ჰაუბიცები, ტყვიამფრქვევები, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტები, ავტომატები და ა.შ.

აზერბაიჯანელები ნელ-ნელა წინ მიიწევენ

აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის განცხადებით, მთიანი ყარაბაღის არაღიარებული რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ჯებრაილის რაიონში მდებარე 13 სოფელი გათავისუფლებულია.

ქვეყნის პრეზიდენტმა სოფლების ჩამონათვალი Twitter-ის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა.

სომხეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა არცრუნ ჰოვანისიანმა განაცხადა, რომ აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება ისევ დაარღვია და შეტევით მოქმედებაზე გადავიდა. მისივე თქმით, სომხეთის არმიამ აზერბაიჯანის არმიის ცხრა უპილოტო საფრენი აპარატი ჩამოაგდო. აზერბაიჯანული მხარის განცხადებით კი, სომხეთი აღჯაბადის ტერიტორიას დილიდან ბომბავს.

ხანძარი ლოკალიზებულია

მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ ლატალის მიმდებარე ტყის მასივში გაჩენილი ხანძრის ქრობის სამუშაოები მეორე დღეა უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს, – ამის შესახებ ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, გვიან ღამით ადგილზე ჩავიდნენ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დამატებითი ჯგუფები თბილისიდან და იმერეთიდან.

„ხანძრის კერებთან მუშაობდა ცოცხალი ძალა - 125 მეხანძრე-მაშველის შემადგენლობით და 10 ერთეული ტყის ხანძრის ქრობისთვის განკუთვნილი სპეციალური ტექნიკა.

მეხანძრე-მაშველების მიერ მთელი ღამის განმავლობაში, აქტიური ქრობის სამუშაოების შედეგად, მოხერხდა ხანძრის ლოკალიზება. ამ დროისთვის მიმდინარეობს საბოლოო სალიკვიდაციო სამუშაოები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში სოფელ ლატალის მიმდებარედ, წიწვოვან ტყეში გაჩენილი ხანძრის შესახებ ინფორმაცია კვირას შემოვიდა. შეტყობინებაზე რეაგირება დაუყოვნებლივ მოახდინა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა. რთული რელიეფის მიუხედავად, ხანძრის კერებთან სახანძრო ტექნიკის მიყვანა მოხერხდა და დაიწყო ქრობის სამუშაოები“, – ნათქვამია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ძაღლების „მოვლელი“ თაღლითი და მოქალაქე აღმოჩნდა

წნორში ერთ-ერთი ადგილობრივი საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების წევრს ფიზიკურად გაუსწორდა. ინციდენტი იმ დროს მოხდა, როცა არასამთავრობო ორიგანიზაციის წევრები მაყვალა სპანდერაშვილის საცხოვრებელ სახლში ინფორმაციის გადასამოწმებლად მივიდნენ, რომლის მიხედვითაც მას ათობით ძაღლი მძიმე პირობებში ჰყავდა – არ ჰქონდათ საკვები და არ უტარდებოდათ საჭირო აცრები.

ადგილზე მისულ ცხოველთა დამცველებს ვითარება კიდევ უფრო მძიმე დახვდათ, რის გამოც მათ ორი ძაღლი წამოიყვანეს. ამ ფაქტმა მეპატრონე გააღიზიანა და არასამთავრობო ორგანიზაციის ერთ-ერთ წევრს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

საქართველოს ცხოველთა დაცვისა და გადარჩენის საზოგადოების წევრები მაყვალასპანდერაშვილს თაღლითობაში ადანაშაულებენ და ამბობენ, რომ შუახნის ქალი სოციალური ქსელით ძაღლების მოვლის მიზნით მოქალაქეებს ფინანსურ დახმარებას სთხოვს, თუმცა შემოწირული თანხა რეალურად ცხოველების მოვლა-პატრონობას არ ხმარდება.

◎ ალმავალი გზით

სცენისთვის დაბადებული...

ცოტა ხნის წინათ, თანამედროვე ქართული ესტრადის ვარსკვლავი, ცნობილი მომღერალი ენრიკო ჯანელიძე ერთგულ მსმენელებს, ჩვენი საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენლებს შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში შეხვდა თავის საიუბილეო საღამოზე.

უაღრესად გულთბილ ვითარებაში ჩავლილმა ორსაათნახევრიანმა კონცერტმა, ენრიკო ჯანელიძის შემოქმედებითმა მრავალფეროვნებამ და საშემსრულებლო ოსტატობამ დამსწრეთა დიდი მოწონება დაიმსახურა. ვის აღარ შეხვდებოდით ამ შესანიშნავ საღამოზე – დარბაზში იყვნენ მარიკა კვალიაშვილი, რეზო ადამია, არნოლდ გეგეჭკორი, გიგა ბათიაშვილი, გენო ნადირაშვილი, ჩვენი საზოგადოების მრავალი სხვა გამოჩენილი პიროვნება, ე. წ. „ცნობადი სახე“.

საიუბილეო საღამოზე ენრიკო ჯანელიძეს საკონცერტო პროგრამა გაულამაზეს აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა ხელოვნების ქურუმის ლევან ღვინჯილიას ხელმძღვანელობით, მომღერლებმა ბესო კალანდაძემ, ვაჟთა კვარტეტმა კაკო ვაშალომიძის, ოთარ მაღრაძის, შოთა ჯამბურიას და ნუგზარ მაისაშვილის შემადგენლობით, ამირან შალიკაშვილის სახელობის პანტომიმის თეატრის მსახიობებმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა დიანა ცინცაძის ხელმძღვანელობით.

იუბილარს მისასალმებელი სიტყვებით და მილოცვებით მიმართეს ერეკლე საღლიანმა, არნოლდ გეგეჭკორმა, თინათინ მღვდლიაშვილმა, გენო ნადირაშვილმა, სხვებმა. მამაო მათემ (ჯანელიძემ) მომღერალს ჯანელიძეების გვარის ღირსეული წარმომადგენლის საპატიო სიგელი გადასცა.

გამომსვლელებმა ერთხმად აღნიშნეს ენრიკო ჯანელიძის მაღალი პროფესიონალური ოსტატობა, შემოქმედებითი მრავალჟანრობრიობა, გამორჩეული სცენური პლასტიკა, ასევე ორ ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე საზოგადოებრივ საქმიანობაში შეტანილი წვლილი. კერძოდ, სასიქადულო მამულიშვილების გიორგი სააკაძის, სულხან-საბა ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის საღამოებისა და, 2019 წლის 29 დეკემბერს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში შოთა რუსთაველის 850 წლისთავის იუბილის ორგანიზატორისა და წამყვანის დამსახურება.

ენრიკო ჯანელიძის 50-წლიანი შემოქმედებითი მოღვაწეობა მსმენელებს საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც კარგად ახსოვთ. მისი სოლო კონცერტები კოსტიუმირებულია, გაჯერებულია მრავალი სტილით. მომღერალს გადაღებული აქვს 20 ვიდეოკლიპი, ხოლო მისი სამსაათიანი მუსიკალური ფილმი „ბენეფისი“ მაყურებელმა არაერთხელ იხილა სხვადასხვა ტელეკომპანიის პროგრამებში, რამაც საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და მომავალი საყურადღებო შეხვედრების მოლოდინი აღუძრა.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკიდან საქართველოში დაბრუნებულ მხატვარ-მოქანდაკეს უშანგი ქუმელაშვილს სწორედ ენრიკო ჯანელიძემ მიაწოდა აზრი და ურჩია, რომ თენგიზ არჩვაძისა და ბიჭიკო ასკურავას სკულპტურული პორტრეტები შეექმნა და უსასყიდლოდ გადაეცა ისინი, რათა ქართველ საზოგალდოებას უკეთ გაეცნო მისი შემოქმედება და უანგარობა. გარდა ამისა, შედგა ენრიკო ჯანელიძისა და უშანგი ქუმელაშვილის შეხვედრა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან, უწმინდესსა და უნეტარეს ილია მეორესთან.

სულ ახლახან კი საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა „მამულიშვილთა გახსენებამ“ ენრიკო ჯანელიძე საპატიო სიგელით დააჯილდოვა „ეროვნულ-სახელმწიფოებრივ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის“. ასევე ტაო-კლარჯეთის სამეცნიერო აკადემიამ, რომლის წევრიც გახლავთ შემოქმედი, იგი ოქროს მედლით დააჯილდოვა, როგორც „ყველაზე ერთგული პარტნიორი“.

აღსანიშნავია ისიც, რომ ენრიკო ჯანელიძე ხშირად ჩნდება სხვადასხვა ტელე და რადიოგადაცემებში და ერთგულ მსმენელს ახარებს ახალ-ახალი სიმღერებით. ერთი ასეთი სიმღერის პრემიერა სულ ახლახან შედგა ტელეკომპანია PosTV-ში, რომლის ვიდეოკლიპს მაყურებელი ახლო მომავალში იხილავს. გარდა ამისა, მსმენელისთვის საუცხოო საჩუქარი იქნება ენრიკო ჯანელიძისა და ეკა კვალიაშვილის სიმღერის „შემოდგომის ფოთლების“ პრემიერა, რომლის ავტორი სახელგანთქმული ფრანგი კომპოზიტორი მიშელ ლეგრანია.

ერთობ კოლორიტული და მუდამ ძიების ჟინით აღსავსე ენრიკო ჯანელიძე ხელოვნებაში ახალი სიმაღლეების დასაპყრობად ემზადება...

ჯანმრთელობა და უფლის წყალობა არ მოჰკლებოდეს მას!

ოთარ ტურაბელიძე

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორი ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

დიდი ნახატი ყავისგან

საუდის არაბეთში ქალმა ყავის მარცვლებისგან ყველაზე დიდი ნახატი შექმნა და გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა.

ოჰუდ აბდულა ალმალკიმ ვადაგასული ყავის მარცვლებით საუდის არაბეთის და არაბთა გაერთიანებული საამიროების დამფუძნებლების –- მეფე აბდულ აზიზ ბინ საუდისა და შეიხ ზაიედ ბინ სულთან ალ-ნაჰიიანის პორტრეტები ააწყო. ამისთვის მას 45 დღე და 4,5 კილოგრამი ყავა დასჭირდა. ტილოს ფართობი 220 კვადრატული მეტრია.

როგორც ხელოვანმა აღნიშნა, მისი მიზანი ორ სახელმწიფოს შორის საუკუნოვანი კავშირის ხაზგასმა იყო.

ეს პირველი შემთხვევაა, როცა საუდის არაბეთის მცხოვრები ქალი გინესის რეკორდების წიგნში დამოუკიდებლად მოხვდა.

კონცერტი პანდემიის გათვალისწინებით

ჯგუფმა The Flaming Lips პანდემიის პანდემიის პირობებში კონცერტის ჩატარების უჩვეულო მეთოდი გამოიყენა.

ოკლაჰომაში გამართულ შოუზე როკ-ჯგუფის ყველა მონაწილე და თითოეული მაყურებელი ინდივიდუალურ პლასტიკურ სფეროში იყო მოთავსებული. ასე ორგანიზატორებმა შოუზე კორონავირუსის გავრცელების რისკი მინიმუმამდე დაიყვანეს. კონცერტს რამდენიმე ასეული ადამიანი დაესწრო.

„მომეწონა, რაც გამოვიდა, იმიტომ, რომ შეგიძლია, რამდენიც გინდა იყვირო, ემოციური იყო და შენს გვერდით მდგომს ვერაფერს გადასდებ, რაც არ უნდა ემოციური იყო. ბარიერი მაინც არსებობს. მაყურებელი დაცულია, შენც დაცულია ხარ. ამიტომაც, შეგრძნება გვაქვს, რომ წარმატებას მივაღწიეთ“, - განაცხადა ჯგუფის წევრმა უეინკოინმა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!
განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.
ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.
(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 22 ოქტომბერს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.2186; ევრო - 3.7728;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.1707;
100 რუბლი - 4.1220; თურქული ლირა - 0.4052;
აზერბაიჯანული მანათი - 1.8941;
1000 სომხური დრამი - 6.5585.

ამინდი 20 ოქტომბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +25
მთიანი რაიონები - ღამე +5, დღე +21
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +12, დღე +21
მთიანი რაიონები - ღამე +8, დღე +18
თბილისი: ღამე +13, დღე +24

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge